ვერსია

№38 (1628) 28 სექტემბერი — 4 ოქტომბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

თბილისის ახალ უბანში გოგონას გვამი იპოვეს

რა კავშირი ჰქონდა გარდაცვლილს მილიციელთან და ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ

დავით კეზერაშვილის ფაქტორი და სკანდალური X-ფაილი

როგორ იქცა მაფიოზად და რატომ აგინა აგვისტოს ომის დროს რუსმა გენერალმა სააკაშვილის „კასირს“

დიდი ომი „ნაცებში“

„დაცვას რომ ეფარება, ეგ ჩმორი“... – რა პრეტენზია აქვს გიორგი მუმლაძეს ნიკა მელიასთან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

„პუტინის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება საკუთარი წარუმატებლობის აღიარებაა“

მამუკა არეშიძე: „საქართველომ კი არ უნდა შეზღუდოს რუსი მოქალაქეების შემოსვლა, არამედ, უნდა მოაწყოს ფილტრაცია“

სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯები იზრდება

რა ცვლილებები მომზადდა მთავრობის დადგენილებაში

მაკა რუხაძე

სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯები 15 ლარიდან 30 ლარამდე გაიზრდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მომზადდა ცვლილებები მთავრობის შესაბამის დადგენილებაში. ახალი ინიციატივის შესახებ, პრემიერმა 26 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილეს.

მთავრობის სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო ცვლილება მთავრობის იმ დადგენილებაში, რომელიც სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების გაზრდას ითვალისწინებს. უფრო ზუსტად, იზრდება ქვეყნის შიგნით, სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა, რაც ნიშნავს, რომ აქამდე არსებული 15 ლარის ნაცვლად, ამიერიდან ეს ხარჯი 30 ლარამდე გაიზრდება. რაც შეეხება ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯებს, მათი ნორმები თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით არსებული რეალობის გათვალისწინებით განისაზღვრება.

„ცვლილების შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის გარეთ მივლინებისას, სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების დღევანდელ რეალობასთან მაქსიმალურად შესაბამისობა. განახლებული ნორმებით იხელმძღვანელებს საჯარო და კერძო სექტორი, რომლისთვისაც ანალოგიური ნორმები დადგინდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით“, – ვკითხულობთ ინფორმაციაში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციამ გაავრცელა.

პრემიერ-მინისტრისვე ინიციატივით, ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანა დაკორექტირდება. ის შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერთიან სტანდარტთან, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებებიც.

„საშუალოდ, დაახლოებით, 37%-იანი ზრდა იქნება ქვეყნების მიმართულებით, ზოგან – მეტი, ზოგან – ნაკლები იქიდან გამომდინარე, რა ოდენობით იცვლება ფასები ამა თუ იმ ქვეყანაში. ქავეყნის გარეთ, ძირითადად, სამი კატეგორია იქნება დღიურ ნორმებთან მიმართებაში – 45 აშშ დოლარის, 60 აშშ დოლარისა და 75 აშშ დოლარის ოდენობით, რაც არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით. რაც შეეხება ვალუტას, ბუნებრივია, ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილია ევროში, სხვა ქვეყნებში – დოლარში. არის ქვეყნები, სადაც ეს შეღავათი შესაბამისი ქვეყნის ვალუტაშია დადგენილი. მაგალითად, ბრიტანეთში იქნება ფუნტით და ასე შემდეგ“.

ვნახოთ, რა იცვლება სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯებში კერძო სექტორში. მთავრობის მეთაურის ინიციატივით, კერძო სექტორთან მიმართებაში, ფინანსთა მინისტრის ბრძანება დაარეგულირებს საგადასახადო შეღავათის ნორმას, რომლის ფარგლებში, არ დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით. სწორედ, ამ ნორმებზე და ამ ოდენობით გავრცელდება ეს საგადასახადო შეღავათი. საჯარო, კერძო სექტორში დასაქმებული პირები ანუ კომპანიები, რომლებიც გადაიხდიან ამ ჭერის ფარგლებში სამივლინებო ნორმებს, იარსებებს საგადასახადო შეღავათი, როგორც დღეს არსებობს. ამ ნორმების ფარგლებში, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადიდან.

მთავრობის დადგენილება, რომელშიც ეს ცვლილებები შედის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №220-ია.საქართველოს საგადასახადო კოდექსის მესამე მუხლის საფუძველზე და 174-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, დამქირავებლის ბრძანებით მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ – ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას:

ა) სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს 30 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გამოურიცხავად; ბ) მგზავრობისა და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, დამქირავებლის ბრძანებით დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას: ა) სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო და ბინის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვროს მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების გამოურიცხავად; ბ) მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე.

დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, გრძელვადიანი (30 დღეზე მეტი ვადით) სამსახურებრივი მივლინებისა,ს პირველი 30 დღის განმავლობაში, სადღეღამისო ხარჯების ნორმები განისაზღვროს მოკლევადიანი (30 დღემდე ვადით) მივლინებისათვის დადგენილი ნორმებით, ხოლო 30 დღის შემდეგ – ამავე დანართით განსაზღვრულ საზღვარგარეთ საქართველოს დაწესებულებათა მუშაკებისათვის მოკლევადიანი მივლინებისას იმ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ეს დაწესებულება მდებარეობს.

დაქირავებულის მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს მხოლოდ კვების ხარჯებით, მაშინ მისი სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს სადღეღამისო ნორმის 30 პროცენტის ოდენობით.

მთავრობის ამ გადაწყვეტილებას ეკონომიკის ექსპერტებიც გამოეხმაურნენ. ანალიტიკოსების შეფასებით, ყველაფერი ეს, მაღალი ეკონომიკური ზრდისა და შესაბამისად, გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლების შედეგია.

დავით კეზერაშვილის ფაქტორი და სკანდალური X-ფაილი

ნინო დოლიძე

როგორ იქცა მაფიოზად და რატომ აგინა აგვისტოს ომის დროს რუსმა გენერალმა სააკაშვილის „კასირს“

მართალია, მასზე სისხლის სამართლის საქმე თუ საქმეები იყო აღძრული და სასამართლომ ვერდიქტიც გამოუტანა, მაგრამ ყოფილი ხელისუფლების თითქმის ერთადერთი წარმომადგენელია, რომელიც გისოსებს მიღმა არ აღმოჩენილა ანუ მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მმართველი პარტია დამნაშავედ თვლის, სააკაშვილის ხელისუფლების ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი და თავდაცვის მინისტრი, დავით კეზერაშვილი „ზაგრანიცაში“ თავს უდრტვინველად გრძნობს. უფრო მეტიც, იმასაც კი ამბობენ, რომ სწორედ „კეზერას“ დირექტივებით იმართება ოპოზიცია, უფრო კონკრეტულად, ოპოზიცია კი არა, არამედ, ენმ-ს ამჟამინდელი თავმჯდომარე, ნიკა მელია და მისი ამალა. ეს კი არადა, სოციალურ ქსელში ვიღაცები იმასაც წერენ, რამდენიმე ხნის წინ, მელია კეზერაშვილს ლარნაკაში ეახლა და პირობა მისცა, რომ ნაცმოძრაობიდან მიხეილ სააკაშვილის ჩამოცილების პროცესს სათავეში ჩაუდგებოდაო. ძნელი სათქმელია, ყველაფერი, რასაც ამბობენ, სიმართლეა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ „კეზერა“, როგორც იმ „სისხლიანი 9 წლის“ დროს, ახლაც ერთგვარად, რუხი კარდინალი და „კასირია“, თუმცა ბოლო დროს, მის რეგალიებს ახალი ტიტულიც დაემატა – მედიამაგნატი: ცნობილია, რომ „ფორმულა ტვ“ თავდაცვის ექსმინისტრისაა. ასევე, როგორც ხმა დადის, სხვადასხვა დროს, იგივე, „მთავარსა“ და „ტვ პირველსაც“ აფინანსებდა. ზოგი იმასაც ამბობს, რომ სააკაშვილის „ექსკასირი“ თითქოს „ოცნებას“ „შეეკრა“. ერთი სიტყვით, ათას რამეს ამბობენ, შესაბამისად, ჭორ-მართალი ერთმანეთშია არეული. და მაინც, ვინ არის დავით კეზერაშვილი და სრულიად ახალგაზრდა ასაკში, როგორ გახდა გავლენიანი ფიგურა? – „ვერსია“ „ფინანსური კარდინალის“ X-ფაილს წარმოგიდგენთ.

ოფიციალური მონაცემებით, დავით კეზერაშვილი 1978 წელს, თბილისში დაიბადა. 1992 წელს, ბებიასთან ერთად ისრაელში, კერძოდ, ჰოლონში გადასახლდა, წელიწადნახევრის შემდეგ კი, ისევ თბილისში დაბრუნდა. 1999 წელს, თსუ-ს საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დაამთავრა. ფლობს ინგლისურ, რუსულ, იტალიურ ენებსა და ივრითს.

სხვადასხვა მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილთან იმ დროიდან მეგობრობს, როცა მიშა იუსტიციის მინისტრი იყო – მაშინ „კეზერა“, როგორც მას „ნაციონალები“ ეძახიან, მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, ფინანსური პოლიციის უფროსად მოგვევლინა.

2006 წლის 11 ნოემბერს, კეზერაშვილმა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პოსტზე, ირაკლი ოქრუაშვილი შეცვალა. ეს თანამდებობა აგვისტოს ომის შემდეგ, 2008 წლის 5 დეკემბერს დატოვა.

დავით კეზერაშვილი ორმაგ – საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეობას ფლობს.

2012 წლის 4 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კეზერაშვილმა საქართველო დატოვა. წასვლამდე კი, 3 ოქტომბერს, ერთპიროვნულად, კომპანია „მედია ჯორჯია“ დააფუძნა, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“, 90%-იანი წილის მფლობელმა, ლევან ყარამანაშვილმა თავისი აქციების 40%, ნახევარ მილიონ დოლარად მიჰყიდა.

2013 წლის 30 იანვარს, დავით კეზერაშვილს დაუსწრებლად, აღკვეთის ღონისძიება შეეფარდა. ბრალდება ასეთი იყო: საჯარო მოხელის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულის მოთხოვნა და ქრთამის მიღება, საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, კეზერაშვილმა, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, გამოიყენა სამსახურეობრივი მდგომარეობა, მფარველობა გაუწია და დაეხმარა დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრებს – ნიკოლოზ დავითაშვილსა და იოსებ იმნაძეს უკანონი საქმიანობაში და, სანაცვლოდ, როგორც საჯარომ მოხელემ, ქრთამის სახით, 4 669 978 ამერიკული დოლარი აიღო.

თავდაცვის მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ, კეზერაშვილი სათავეში ჩაუდგა დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფს და კონტრაბანდული სპირტის საქართველოში შემოტანის შედეგად, ქართამის სახით, როგორც კერძო პირმა, 7 664 705 ამერიკული დოლარი აიღო.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კეზერაშვილს ბრალი ედება რამდენიმე მუხლით, რაც საბოლოოდ, 11-დან 15-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავდაცვის მინისტრობას ჩამოშორებული კეზერაშვილი აცხადებდა, რომ პოლიტიკა სამუდამოდ დატოვა, ბიზნესით დაკავდა და თავს ნავთობკომპანია „გალფის“ მფლობელად, უფრო სწორად, ერთ-ერთ მფლობელად აცხადებდა. ნავთობის გარდა, კეზერაშვილს სათამაშო ბიზნესი, ლატარიის კომპანია და სარეკლამო საქმეც აინტერესებდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ იარაღის შესყიდვის კანონიერ და უკანონო სქემებშიც მონაწილეობდა.

ნავთობპროდუქტების ფასი საქართველოში, დიდი ხანია, მაღალ ნიშნულს არ სცილდება და მნიშვნელობა არ აქვს, მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი იკლებს თუ იმატებს, ირიბად, ეს პროცესიც თავდაცვის ექსმინისტრს უკავშირდება.

2006 წელს, საქართველოში დარეგისტრირდა კომპანია „სოკარ-ჯორჯია“, რომელიც რამდენიმე დანაყოფისგან შედგებოდა, მათ შორის, „სოკარ-ჯორჯია-პეტროლიუმისგან“, რომელსაც აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების იმპორტის მონოპოლიური უფლება მიეცა. ამ კომპანიის დამფუძნებელნი, ერთი მხრივ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო კომპანია (51%), ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირები იყვნენ 49-პროცენტიანი წილით.

პარალელურად, ცენტრალური აზიიდან, აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან ნავთობპროდუქტების ტრანზიტი საქართველოს შიდა ბაზრისთვისაც გარკვეულ ეტაპზე აიკრძალა და შემოღებულ იქნა წესი, რომლითაც ნავთობპროდუქტების იმპორტს საქართველოში ექსკლუზიურად მხოლოდ „სოკარ-ჯორჯია პეტროლიუმი“ ახორციელებს.

2006 წლიდან ანუ მას შემდეგ, რაც „სოკარი“ საქართველოშია, ბევრი ნავთობკომპანია მოისპო. ყველა დარჩენილი კი, როგორც ამბობენ, „სოკარის“ შვილობილია, მათ შორის, კეზერაშვილის „გალფი“ და დავით სააკაშვილის „ვისოლი“, რომელთაც „სოკარი“ ხელსაყრელ ფასად აძლევს ბენზინს და ამ გარიგებით მილიონები კეთდება, საწვავის ფასი კი გამუდმებით იზრდება.

2010 წელს, საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე, აშშ-ში დარეგისტრირებული კომპანია „ენერჯი ინვესტიმენტს ვენტურა“ შემოვიდა, რომელმაც „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ დააფუძნა. ამ კომპანიის 126 ბენზინგასამართი სადგურიდან 60 – „გალფის“ ბრენდის ქვეშ მუშაობს. კომპანიაში აცხადებდნენ, რომ დაარსებიდან დღემდე, განვითარებაზე 62 მილიონი ამერიკული დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელა. კომპანია ბენზინს „სოკარისგან“ ყიდულობს...

საწვავის ბაზარზე, კეზერაშვილის ინტერესები კომპანია „უნი გრუპს“ უკავშირდება, რომელიც „ლუკოილის“ საწვავის დისტრიბუციას ახორციელებს და რომლის თანადამფუძნებელიც კეზერაშვილია.

დასასრული მე-4 გვერდზე

დავით კეზერაშვილის ფაქტორი და სკანდალური X-ფაილი

მე-3 გვერდიდან

სქემა ასეთია: ბენზინი შემოაქვს „სოკარს“, მისგან ყიდულობს „ლუკოილი“, „ლუკოილისგან“ კი – „უნი გრუპი“. ამ სქემით კომპანიები, როგორც ამბობენ, სახელმწიფოს ხარჯზე, ზემოგებას ნახულობდნენ, რაზეც „ნაციონალთა“ მაკონტროლებლები და თავად სააკაშვილიც თვალს ხუჭავდა, რადგან რაც მეტ ფულს იშოვიდა, მით დიდ ფინანსურ საყრდენად იქცეოდა კეზერაშვილი.

2012 წლის ნოემბერში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „გალფში“ კეზერაშვილის წილი მოსკოვში მოღვაწე, წარმოშობით ქართველმა ბიზნესმენმა, დავით იაკობაშვილმა შეისყიდა.

„ნაციონალების“ მმართველობის დროს, ზომაზე მეტად აფიშირებული, ე.წ. ნავთობტენდერები, სადაც ვითომ ნებისმიერ იურიდიულ პირს შეეძლო მონაწილეობა, ხშირად, შაბათ-კვირას ტარდებოდა და ყოველთვის „უნი გრუპი“ იმარჯვებდა.

განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები, ტელერადიოცენტრი, სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ცენტრი „დელტა“, ფინანსთა სამინისტრო, ზოოპარკი, მერია, სასამართლო ექსპერტიზა, ოლიმპიური რეზერვების ცენტრი, მეცნიერებათა აკადემია, იუსტიციის საბჭო, სპორტისა და ახალგაზრდობის, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროები, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფლის მეურნეობის აკადემია, უშიშროების საბჭო, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ეკონომიკის სამინისტროს სატრანსპორტო ადმინისტრაცია, საკონსტიტუციო სასამართლო, ქვემო ქართლის საქველმოქმედო ორგანიზაციები – ეს იმ დაწესებულებათა არასრული ჩამონათვალია, სადაც სხვადასხვა სახის პროექტს „უნი გრუპი“ ახორციელებდა.

კეზერაშვილთანაა დაკავშირებული დიდი მოგების მომტანი სათამაშო ბიზნესიც. მართალია, კეზერაშვილი ლატარიის კომპანიასთან კავშირს ყოველთვის უარყოფდა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის ავტორმა, მათიას ჰუთერმა წლების წინ დაამტკიცა, რომ სარეკლამო ბაზრის დიდ ნაწილს, სწორედ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ახლო მეგობრები და ნათესავები აკონტროლებდნენ.

2008 წლის 25 თებერვალს, დაარსდა ფირმა „ბლექ სტაილი“, რომელსაც 11 შვილობილი კომპანია აქვს. ასე გახდა კეზარაშვილი გარე რეკლამის მონოპოლისტი – ამ კომპანიებს მართავდნენ მისი ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები.

2009 წელს, თბილისის მერიამ, აუქციონის წესით, გარე რეკლამის განთავსების თორმეტწლიანი ნებართვა გასცა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, აბრები „აუთდორ.გე“-ს გადაეცა, ხოლო მარცხენაზე – „მაგი სტილი მედია“-ს, რომელსაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იმდროინდელი თავმჯდომარე, ირაკლი ჩიქოვანი ფლობდა.

2011 წელს, „მაგი სტილი“ ჩაანაცვლა „სმოდ ედვერთაისინგმა“. ამ უკანასკნელს პანამაში დარეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანია „სმოდ ექუიზი კორპი“ ფლობდა და მისი წარმომადგენელი საქართველოში, ალექსანდრე გოგოხია იყო, რომელიც იმავდროულად, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლდათ. 2008 წელს, ის „აუთდორ.გე“-ს მთავარ ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. რამდენიმე წლის წინანდელი მონაცემებით, „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ 70%-ს, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი „საქართველოს ფოსტა“ მართავდა, დანარჩენს კი – „ლუქსორ კაპიტალ კორპი“.

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული ამ კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში, დიმიტრი ჩიქოვანი იყო – დავით კეზერაშვილის ცოლის ძმა, რომელიც 2011 წლის სექტემბრამდე, „აუთდორ.გე“-ს გენერალური დირექტორი გახლდათ.

თავდაცვის მინისტრად დანიშვნისას, კეზერაშვილი „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში ამბობდა: **„ჩემი ამოცანაა, ბოლომდე მივიყვანო საქრათველოს ჯარის მშენებლობა. საქართველოს არმიას უნდა შეეძლოს, დაიცვას ქვეყნის ინტერესები. საქართველოს ჯარს უნდა შეეძლოს ყველა ამოცანის შესრულება, რომელიც მას, შესაძლოა, ოდესმე დაეკისროს“.**

2008 წელს, აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი კი არსად ჩანდა, ამბობდნენ, დასასვენებლად იყო წასულიო.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ორმხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა ლეონარდო დევდარიანი, რომელიც რუს გენერალ ბორისოვისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრას იხსენებს:

„ვდგავართ, ვიხრუკებით მზის გულზე და ორი ახალი „ლექსუსის“ ჯიპით მოგრიალდა ვიღაც. გაიღო კარი და შავსათვალიანი, ამერიკული კინოფილმის გმირი, კომანდოსი გადმოვიდა. ისე იყო გამოწკეპილი, გამარჯვებული ჯარის მთავარსარდალი გეგონებოდა, რაღა ნაპოლეონი და რაღა – კეზერაშვილი. იგი „მარიაჟი“ სიარულით მოგვიახლოვდა, ბორისოვს ახედ-დახედა, მერე დაცვას მიუტრიალდა, რა არის ბიჭებო, ახალი „ბათინკები“ ვერ ჩააცვით ამასო და ბორისოვის ფეხსაცმელებისკენ ხელით მიუთითა... ბორისოვმა კბილებში გამოსცრა, შენ ვინ ხარო? მე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარ, შეირაღებულ ძალებს ვხელმძღვანელობო, – გამოეჭიმა კეზერაშვილი. საინტერესოა, რომელ შეირაღებულ ძალებს მეთაურობ, შე, წვინტლიანო, რომელიც არ არსებობს? აბა, მაჩვენე, სად არის შენი შეიარაღებული ძალები? წადი შენიო და, ბორისოვმა ჩვენი თავდაცვის მინისტრი „სამ ასოზე“ გაგზავნა, შენ არ დაგელაპარაკებიო“.

დავით კეზერაშვილი, როგორც ამბობენ, იარაღის შესყიდვის საქმეშიც იყო ჩართული: ამერიკულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციებით, იარაღით მოვაჭრე 22 პირის დაკავების საქმის დეტალების გაცნობისას, კორუფციულ სქემაში საქართველოც აღმოჩნდა.

2008 წელს, საქართველოს მთავრობა იარაღის ძიებაში იყო და ასპარეზზე გამოჩნდა დენიელ ალვირესი, რომელმაც „ემ-855“ ტიპის საბრძოლო ტყვიებით მოამარაგა საქართველოს სამხედრო უწყება. იარაღით მოვაჭრეთა შორის, ასევე, სახელდებიან ოპერ ფაზი, ფლორიდელი საულ მიშკინი, რომელსაც კავშირი ჰქონდა ისრაელში მცხოვრებ შაბთაი ბატაშვილთან, რომლის მეშვეობითაც, იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრ კეზერაშვილს დაუკავშირდა და იარაღიც მიჰყიდა.

„სააკაშვილის პროტეჟე საქართველოს რუსეთთთან ომში ჩაბმაში დაეხმარა“ – ეს ერთ-ერთი ამერიკული სტატიის სათაურია, რომლის ავტორი წერს, რომ ომის შემდეგ, ისრაელმა საქართველოს სამხედრო დახმარება მოსკოვის მოთხოვნის გამო შეუწყვიტა.

„იარაღით მოვაჭრე ვიქტორ ბუტი ტაილანდში დაიკავეს, თვითმფრინავი, რომელსაც შრილანკაში იარაღი გადაჰქონდა, საქართველოშია რეგისტრირებული. ბორტზე 40 ტონა ტვირთი იყო“... – ამერიკელი ჟურნალისტის, ჯეფრი სინელვანის აზრით, კეზერაშვილი ნარკოტიკების მომხმარებელი ბიჭია, რომელიც ამ ვაჭრობაში დაბალი რანგის მოხელეა.

... მსოფლიოში ცნობილი საოპერო თეატრების მსგავსად, თავის დროზე, თბილისშიც დაფუძნდა „თბილისის ოპერის მეგობართა საბჭო“, რომლის შემადგენლობაში დავით კეზერაშვილიც იყო. კეზერაშვილი ოპერაში არავის უინახავს, მაგრამ პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ თანხას, რომელსაც ამ საქმეს მოახმარს „ცოტა არ იქნება“. მაშინვე პარალელი გაავლეს ბილიო ალდერის ფილმთან – „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, სადაც სიცილიელი მაფიოზები იტალიური ჯაზ-ორკესტრის მეგობრების რანგში გვევლინებიან.

სააკაშვილი კეზერაშვილს, როგორც სამეფო კარის ბიზნესმენს, სასათბურე პირობებში ამყოფებდა. ამიტომაც, ამ „ფინანსურ კარდინალს“ ისეთი მნიშვნელოვანი საქმეც ანდეს, როგორიც ძველი პარლამენტის შენობის გაყიდვა იყო – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, კეზერაშვილი დაცარიელებული პარლამენტის შენობაში ყატარელ ბიზნესმენებს მიუძღოდა და, როგორც ამბობენ, შენობის გადაკეთების გეგმაც თან ჰქონდა. დაგეგმილი იყო, რომ საქართველოს პარლამენტის ისტორიული შენობა სასტუმროდ გადაკეთდებოდა, სადაც ინვესტორები ფეშენებელურ საპრეზიდენტო ნომრებს, აუზებს, კაზინოებსა და სხვადასხვა გასართობ ცენტრს მოაწყობდნენ.

კეზერაშვილის თავდაცვის მინისტრად ყოფნის დროს, ჩვენ ომი სამარცხვინოდ წავაგეთ რუსეთთთან, მაგრამ მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი რატომღაც არ დადგა. რატომ? – ეს რიტორიკული შეკითხვაა.

მოკლედ, ასეთია დავით კეზერაშვილის X-ფაილი, ფაილი, რომელიც კიდევ ძალიან ბევრ საიდუმლოს ინახავს. აი, ერთ-ერთი, ყველაზე დიდი საიდუმლო კი ის არის, თუ როგორ ინარჩუნებს „კეზერა“ ქართულ პოლიტიკაზე გავლენას. ახლა, ვინმე აღიარებს თუ არა, ფაქტია, რომ ქართულ პოლიტიკაში კეზერაშვილის ფაქტორი ფასდაუდებელია. ყოველ შემთხვევაში, კულუარებში ყველა მიანიშნებს, რომ კარგი და ცუდიც, რაც თუნდაც ოპოზიციაში ხდება, სწორედ, კეზერაშვილის ნარატივია. თუ ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ „კარდინალმა“ ახალი პოლიტიკური თამაში დაიწყო, რომლის მიზანიც მალე გამოჩნდება.

ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახავთ, რა და როგორ იქნება.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

დიდი ომი „ნაცებში“

„დაცვას რომ ეფარება, ეგ ჩმორი“... – რა პრეტენზია აქვს გიორგი მუმლაძეს ნიკა მელიასთან

ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში დიდი განხეთქილებაა. როგორც ჩანს, ქვეყნის მთავარი ოპოზიციური პარტია ისევ დაშლის პირასაა, რადგან აშკარად ჩანს, რომ პარტიის წარმომადგენლები „ორ ბანაკად“ გადანაწილდნენ და ერთმანეთს უკვე ფიზიკურად უპირისპირდებიან. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, ენმ-ის ოფისში პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. „იყო დიდი ჩხუბი“ – ამის შესახებ დეტალურად ყვება დაპირისპირების მონაწილე, მოძრაობა „საქართველოსთვის“ ლიდერი, აქტივისტი გიორგი მუმლაძე, რომელიც საზოგადოებას არაერთ აქციაში მონაწილეობითა თუ მწვავე პროტესტის გამოხატვით ახსოვს. ასე, მაგალითად, 2020 წლის არჩევნების დროს, მუმლაძე ფიზიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა, აღსანიშნია მუმლაძის არაერთი დაკავების ფაქტიც აქციებში მონაწილეობის დროს, ე.წ. მასობრივ შიმშილობაში მოანაწილეობა და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ მუმლაძე ნაცმოძრაობის იმ ფრთას განეკუთვნება, რომელთაც პროტესტის მწვავე ფორმით გამოხატვა და ქუჩის აქციებში მონაწილეობა სწორ სტრატეგიად მიაჩნიათ. როგორც ირკვევა, აქტივისტს ბოლო დროს პარტიის „ლიდერშიფთან“, კერძოდ, თავმჯდომარე ნიკა მელიასთან არაერთი კითხვა, სწორედ მოქმედების სტრატეგიულ გეგმასთან და როგორც თავად ამბობს, უფუნქციობასთან დაკავშირებით გაუჩნდა, რის გამოც პარტიის ოფისში მისულს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. მომხდარის შესახებ გიორგი მუმლაძემ Facebook-Live-ით, 25 სექტემბერს, ღიად ისაუბრა და ნიკა მელიას პარტიის თავმჯდომარეობიდან „პანღურით გაგდება“ დაუანონსა. „ვერსია“ გიორგი მუმლაძის მიერ, „ფეისბუქ-ლაივით“ გაკეთებულ განცხადებას გთავაზობთ:

„ ... NDI-ის კვლევებიდანაც ჩანს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხალხს ოპოზიციის მიმართ, ამიტომ ოპოზიციის კრიტიკა არის ერთადერთი გზა, რომ რაღაც ქმედითი ნაბიჯი გადაიდგას, რათა „შევაწუხოთ“ ხელისუფლება.

რაც შეეხება მოვლენებს, რომელიც ენმ-ის ირგვლივ ვითარდება, ბოლო პერიოდში მქონდა ლეგიტიმური კითხვა პარტიასთან, რომელსაც წლების განმავლობაში ვაძლევ ხმას და მერე ვიცავ ამ ხმებს... განსაკუთრებით პარტიის თავმჯდომარესთან, რომელსაც ბევრი დაპირება აქვს გაცემული, რასაც არ ასრულებს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, პარლამენტში არ შევალთო, რომ ამბობდა და შევიდა პარტია პარლამენტში. შემდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე ისაუბრა და აქაც არაფერი ხდება... ამ ფონზე, ოპოზიციის მხრიდან ბევრმა ცრუ დაპირებამ და უუნარობამ ოპოზიიციის მხარდაჭერა გაანულა და ბუნერბივია, კრიტიკა მნიშვნელოვანია.

დაახლოებით, ათი დღის წინ, „ფეისბუქ-ლაივში“ გავაჟღერე კონკრეტული კითხვები ნიკა მელიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შემდეგს – მან ერთ-ერთ განცხადებაში ისაუბრა, მოოლიგარქო ადამიანებთან მქონდა ურთიერთობაო. ასევე, მქონდა კითხვა იმაზე, თუ რატომ არაფერი ხდება ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნის შესახებაც მან განცხადება გაავრცელა. როგორც ჩანს, ძალიან გაღიზიანდნენ ამ საკითხზე, რადგან ყველა სივრცეში გავავრცელეს ეს თემა. დაახლოებით, ათი დღის წინ, ტელევიზიაში გავიდა სიუჟეტი, სადაც ნოდარ მელაძე საუბრობდა პარტიაში „ჩანერგილ“ აგენტებზე და ამ სიუჟეტიდან გამომდინარე, ჩვენს ერთ-ერთ თანამებრძოლზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ის არის სუს-ის აგენტი. ეს იყო მთავარი საკითხი, რაზეც გადავწყვიტეთ, პასუხი მოგვეთხოვა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც ასე უაპელაციოდ ავრცელდებდა ასეთ უბინძურეს ინფორმაციას. ნოდარ მელაძესთან და ყველასთან გადავამოწმეთ ინფორმაცია და სიმართლეა ის, რომ ჩემი მეგობარი არანაირ კავშირში არ იყო იმ ფაილებთან და გავრცელებულ ხმებთან. მოვითხოვეთ, ეს უბინძურესი საკითხი მოგვარებულიყო და მათ, ვინც ამას ავრცელებდა, მოეხადათ ბოდიში ამ ადამიანისთვის.

გადაწყდა, რომ ნიკა მელიას თაოსნობით, პარტიაში იქნებოდა შეხვედრა და უნდა გვესაუბრა ამ საკითხზე. მოძრაობა „საქართველოსთვის“ წევრები, პრაქტიკულად, ფაქტის წინაშე დაგვაყენეს, რომ ჩვენს პარტიაში იყო სუს-ის აგენტი და, თურმე, ამდენი ხანი აგენტის გარშემო ვიბრძვით... ჩვენი საქმიანობა ტალახში ამოსვარეს. ორშაბათს დაიგეგმა პარტიაში შეხვედრა და ამის მოტივაცია იყო ის, რომ მათ, ვინც უარგუმენტოდ ადამიანების „გაშავებით“ არიან დაკავებულნი, სათანადო პასუხი გასცემოდათ. იმისთვის არ გვიბრძოლია ამდენხანს, რომ ვიღაცამ ეჭვით, რამე მოგვაკეროს და მერე, აქეთ მოგვთხოვოს, დამიმტკიცე, რომ აგენტი არ ხარო! ეს უბინძურესი მეთოდია ადამიანების გაშავებისა!

ამ შეკრებაზე მივედით, დაახლოებით, შვიდი-რვა ადამიანი, რომლებიც მოძრაობაში „საქართველოსთვის“ ვსაქმიანობთ ყოველთვის. შეხვედრას უნდა დასწრებოდნენ პარტიის თავმჯომდარე, გენერალური მდივანი და გაირკვეოდა, რატომ გავრცელდა აღნიშნული ინფორმაცია. როცა შეხვედრაზე შევიდა ოთხი ადამიანი, მეც მოგვიანებით შევედი, დანარჩენები კი კარებში შემომყვნენ და მათ მიმართ ნიკა მელიამ თქვა, ამათ აქ რა უნდათო, რაც გამიკვირდა, რადგან ჩვენი მეგობრები არიან, რომლებსაც უნდოდათ, დასწრებოდნენ შეხვედრას იმიტომ, რომ მათ თანამებრძოლზე ვრცელდებოდა უბინძურესი ინფორმაცია. მელიამ მითხრა, რომ მას არ უნდოდა, ეს ხალხი ამ შეხვედრას დასწრებოდნენ. ეს ძალიან უცნაური იყო, რადგან მისი მიზანი სიმართლის გარკვევა უნდა ყოფილიყო. მელიამ მითხრა, არ მინდა, რომ შენც აქ იყოო და როცა ვკითხე, რატომ-მეთქი? (კი, მივხვდი, რომ ეს მანამდე, ჩემს მიერ ჩაწერილ „ლაივსა“ და მის მიმართ კრიტიკულ კითხვებს ეხებოდა და როგორც ჩანს, ამაზე გაღიზიანებული იყო)... მელიამ მიპასუხა, შენ ცალკე გინდა პარტია, თუ ეს პარტია გინდაო. მე ვკითხე, ოდესმე, რამეში გვერდში არ დაგიდექი-მეთქი? – როცა ეს ვკითხე, გაჩუმდა.

აუცილებლად უნდა ვთქვა, რაში დავუდექი მელიას გვერდით და როდის. მხოლოდ რამდენიმე ფაქტს ჩამოვთვლი, რატომაც ხმა ვერ ამოიღო და ვერასდროს ექნება პრეტენზია ჩემ მიმართ:

როცა მისი დაკავება ხდებოდა, პარტიაში ვიყავით შეკრებილი და ოთხი დღე-ღამე, იქ ვიცხოვრეთ ჩვენი მოძრაობის წევრებმა, ბოლოს კი თქვა, პროვოკაცია არ არის საჭიროო ანუ ოთხი დღე-ღამე მზად ვიყავით იმისთვის, რომ სპეცრაზმს პირველი შევჩეხებოდით და ვის რა მოგვივიდოდა, არავინ იცოდა, მაგრამ სულისკვეთება ამ ადამიანის დაცვა იყო.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, მელიამ გვთხოვა, ჩვენს ჯგუფს მიეღო მონაწილეობა დამკვირვებლად. ვუთხარით, რომ ზუგდიდში წავიდოდით, სადაც ანზორ მელია იყრიდა კენჭს. ზუგდიდში თავს დაგვესხა, დაახლოებით, 40 ადამიანი, გვცემეს და დაკითხვაზე წაგვიყვანეს, დაგვაკავეს. ათი დღე გავატარე პატიმრობაში.

შემდეგ იყო მასობრივი შიმშილობა, როცა ვიცოდით, რომ გარე სივრცეში უნდა მომხდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის ოფისში უნდა გვეშიმშილა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადგილი არ მოგვწონდა, პარტიის თავმჯდომარის ამ გადაწყტვეტილებას დავეთანხმეთ და ჩვენი მოძრაობის ყველა წევრმა ვიშიმშილეთ. ამ ფონზე, ხომ იცის ამ ადამიანმა, რომ სადაც დასჭირდა, ყველგან გვერდში დავუდექი?!

შეხვედრაზე, შემდეგ მკითხა, რა კითხვებს მისვამ, „ფეისბუქზე“ რა დღეში ხარო? – ვუპასუხე, რამე არასწორია, რაზეც არ უნდა გამცე პასუხი-მეთქი? – ამაზე გაბრაზდა და მითხრა, შენ პროვოკატორი ხარო, რაზეც ვუპასუხე, მე და შენს შორის პროვოკატორის დედაც-მეთქი. უმძიმესი ბრალდებაა, როცა ადამიანს უწოდებ პროვოკატორს, ლეგიტიმურად დასმული კითხვების გამო. ამის შემდეგ მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რაშიც მისი დაცვის წევრების ნაწილი, ასევე, მძღოლი და სხვა პირები იყვნენ ჩართულნი. რა თქმა უნდა, ჩვენც ვუპასუხეთ სათანადოდ, იყო ძალიან დიდი ჩხუბი. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა საჯაროდ გაიგონ, რეალურად რა ხდებოდა, რადგან საჯაროობა არის მთავარი იარაღი დემოკრატიისთვის. ჩემი სიტყვების დასტურია ის, რომ რამდენიმე ადამიანს აქვს ფიზიკური დაზიანებებიც.

ყველაზე ცუდი იყო ის, რომ ადამიანები, რომელთანაც მოგვივიდა ფიზიკური დაპირისპირება, საკმაოდ ბრუტალურად იქცეოდნენ, რადგან ისინი უმრავლესობაში იყვნენ, ჩვენ კი – უმცირესობაში. რაც შეეხება ნიკა მელიას, მისი როლი იყო წარმოუდგენლად ცუდი, რადგან ნაცვლად იმისა, რომ ამ პროცესში მედიატორის როლი ეთამაშა, ეს არ გააკეთა და რაღაც მომენტში, პირიქით, წამახალისებელი იყო ამ დაპირისპირებისა.

დასასრული მე-6 გვერდზე

დიდი ომი „ნაცებში“

მე-5 გვერდიდან

„ქართული ოცნება“ მდევნის სიტყვის თავისუფლებისთვის და აქაც ჩემი „ფეისბუქ“ აქტიურობის გამო, პრაქტიკულად, აღმოვჩნდი მსხვერპლი ფიზიკური ძალადობისა. დავადასტურე ეს ფაქტი, რადგან ათასნაირი ჭორი ვრცელდება, რომ თითქოს იმიტომ დავუპირისპირდით ნიკა მელიას, რომ ის კეზერაშვილთანაა დაპირისპირებული და გამოვყავართ ისე, თითქოს, ვიღაცის საქმეს ვაკეთებთ. სისულელეა, ხალხო, ჩვენ მივედით პარტიაში ღირსების დასაცავად და აბსურდია, რომ ეს ვიღაცის დავალებით გავაკეთეთ! ამიტომ, ყველას მივმართავ, არ დაგცდეთ სიტყვა იმაზე, რომ ვინმეს ინტერესების გამო მოგვივიდა დაპირისპირება. დაპირისპირება მოჰყვა იმას, რომ ვცადეთ, გაგვერკვია, რა და როგორ ხდებოდა. აგრესია მოდის მელიასგან, რადგან მის მიმართ სულ კითხვები მაქვს...

ვინც ამ ჩხუბში მონაწილეობდნენ, არიან ლაჩრები და წარმოუდგენელია, ასეთ ხალხთან ერთად, რამე ბრძოლას ჰქონდეს აზრი, რადგან სუსტ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გადათელვა რომ სიამოვნებას განიჭებს და ეს ეხება ნიკა მელიასაც, პირდაპირ ვასახელებ მას – ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი ლაჩარი, რომელიც აფარებულია დაცვას და ისე „ებლატავება“ ხალხს. სადაც შემხვდება, სათანადო პასუხს გავცემ სიტყვით და თუ იქნება საჭირო, თავსაც დავიცავ, რადგან ეს ადამიანი არის ლაჩარი... ეს ადამიანი არ უნდა იყოს ამ პარტიის თავმჯდომარე!

ამ ამბის შემდეგ, ნიკა მელია გამოვიწვიე დებატებში, რათა დამემტკიცებინა, რომ ის უნდა გადადგეს პარტიის თავმჯდომარეობიდან. ერთი სიტყვა არ დამიძრავს შურისძიებაზე და დღეს ჩემზე ათასი სიბინძურე ვრცელდება, რომელსაც პარტიაში დასაქმებული ხელფასიანი ტიპები ავრცელებენ. მათ მინდა, ვუთხრა:

თქვენ ხართ ჩმორები, „ფეისბუქ-ლომები“ და სინამდვილეში, არაფერი შეგიძლიათ. დღეს ასტრალში გავიდა პარტიის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც გადაწყვიტა, ჩემზე გაევრცელებინა ყალბი ინფორმაცია, რომელიც მონაწილეობდა დაპირისპირებაში. დაწერა სტატუსი, რაზეც კომენტარი დავუწერე, წაშალა ეს კომენტარი და პირად მიმოწერაში დაიწყო მუქარა, რომ გამიხვრეტდა შუბლს. მართლა მეცინება, რომ ასეთი ლაჩარი შუბლის გახვრეტით მემუქრება. ამიტომ, ეს „ლაივი“, პირველ რიგში, ამისთვისაა – როცა თავს დავიცავ ასეთი გარეწრებისგან და ჩემი აზრით, ეს ხალხი მოქმედებს „ქართული ოცნების“ ხელდასმით, რადგან ვერ გაბედავს ოპოზიციონერი მუქარას, თუ გარკვეული „კრიშა“ არ აქვს. ეს ადამიანი არის თენგო სანაია და მეცინება, როცა იარაღით გაგორებით მემუქრება... თუ სადმე გაიგეთ, რომ ამ ხალხიდან რომელიმესთან მომივიდა კონფლიქტი, არ მაქვს იმედი საგამოძიებო ორგანოების, მე არ მაქვს უფლებები ამ ქვეყანაში, მე ვარ ადამიანი, რომელიც 14-ჯერაა დაჭერილი... ვაცხადებ, რომ პირველ რიგში, ჩემი თავის იმედი მაქვს და ამ პროვოკატორებს სათანადო პასუხს გავცემ. ჩემი მიზანია, ეს პარტია გაიწმინდოს ასეთი ხელფასჩამოკიდებული ლაჩრებისგან, რომელთა თავშესაფრადაც აქცია მელიამ ეს პარტია. ამ „ბანდიდან“ ერთ-ერთმა დღეს რაც იკადრა, ამაზე საჯაროდ უნდა განმეცხადებინა, რადგან მქონდეს ალიბი, რომ ვინმეს მიმართ პროვოკაციას კი არ ვაწყობ, არამედ, ეს ადამიანი თუ მსგავს რამეს ჩაიდენს და რაღაც მოხდა, რომ მემუქრება ეს ნაძირალა, მას გაეცეს სათანადო პასუხი.

ეს არის უბინძურესი პროვოკაცია, რაც მოაწყო თენგო სანაიამ, რომელიც ასევე მონაწილობდა პარტიის დაპირისპირებაში და ჩემი მთავარი მიზანია, რომ ნიკა მელია პანღურით იქნას გაგდებული პარტიიდან, რადგან ის არის მოძალადე ელემენტი, რომელსაც შეუძლია, განსხვავებული აზრის გამო, ადამიანი დაჩაგროს, მაგრამ ჩემთან ამას ვერ გააკეთებს...

მელიას მივართავ – დაცვას რომ ეფარება, ეგ ჩმორი, როგორ უნდა სუსტის დაჩაგვრა, მაგას ვანახებთ ცოტა ხანში. არავის მოვუთმენ, რომ ვიღაცამ, ჩემი აზრების გამო, ცენზურა დამიწესოს, თან ვის? – მის გამო, მზად ვიყავი, სპეცრაზმს დავხვედროდი პარტიის ოფისში! მის გამო, ათი დღე მომიწია ფოთის იზოლატორში პატიმრობა... მასობრივი შიმშილობის დროს, კინაღამ დავიხოცეთ და დაგვცინოდა ხალხი იმ სივრცის გამო, სადაც ვშიმშილობდით, პარტიის ოფისში. ეს ხალხი, რომელიც ახლა მელიას იცავს, დასცინოდა მაშინ ამ გადაწყვეტილების გამო“...

გიორგი მუმლაძის აღნიშნული სკანდალური განცხადების შემდეგ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„რამდენიმე კვირის წინ, პარტიის თავმჯდომარე ნიკა მელიამ საზოგადოებას წარუდგინა ოლიგარქ ივანიშვილის დამარცხების კონკრეტული გეგმა და სტრატეგია. ამ მიზნით, პარტიამ გააააქტიურა ორგანიზაციული რეფორმები და გადადგა კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ერთიანობა, კონსოლიდაცია და აღნიშნულ გეგმაზე სრული კონცენტრირება. ამ ფონზე, გარკვეული ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციისა და დესტრუქციული ნაბიჯების გამო, გვიხდება ამ განცხადების გაკეთება, რაც სხვა შემთხვევაში, ჩვენთვის არ იქნებოდა პრიორიტეტული. „ტვ პირველზე“, „ნოდარ მელაძის შაბათის“ გადაცემის ანონსში, რომელიც ეხებოდა ოპოზიციურ პარტიებში ჩანერგილ სუს-ის ჯაშუშებს, ერთ-ერთი პირის ხმა მიმსგავსებულ იქნა საპროტესტო აქტივობებში ჩართულ აქტიური ადამიანის ხმასთან. საკითხის გარკვევის მიზნით, მასთან და მისი გუნდის წევრებთან მოხდა კომუნიკაცია. ერთი კვირის წინ, ეს ადამიანები მოვიდნენ პარტიის ცენტრალურ ოფისში, პარტიის გენერალურ მდივანთან შესახვედრად. მათგან რამდენიმე პირი იყო უკიდურესად აგრესიულად განწყობილი, რაც ასევე გამოიხატებოდა მათ მიერ, სოციალურ ქსელებში მანამდე გავრცელებულ პოსტებში.

...რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ნიკა მელია საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკურ გადაცემაში, პირდაპირ ეთერში პასუხობდა ჟურნალისტის კითხვებს, გიორგი მუმლაძე ჯგუფთან ერთად, პროვოკაციის მოწყობის მიზნით, განზრახ მივიდა ტელევიზიასთან და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ნიკა მელიას მძღოლს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ შესასვლელში მყოფი მაუწყებლისა და დაცვის პოლიციის თანამშრომლების თანდასწრებით.

...ამ ვითარებაში, მთავარი აქცენტი ივანიშვილის რეჟიმის საბოლოო დამარცხებაზე უნდა გაკეთდეს. ჩვენ არ უნდა შევუწყოთ ხელი „რუსული ოცნების“ სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს მთავარ ოპოზიციურ პარტიაში დაპირისპირებისა და შიდა განხეთქილების განცდის შექმნას.

რიგ საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოზიციები, რაზეც დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, პარტიაში დისკუსია საჯაროდ მიმდინარეობს. ეს ჩვენი არჩევანია, რადგან ანგარიშვალდებულად ვგრძნობთ თავს ჩვენს ამომრჩეველთან.

ამავე დროს, „ნაციონალური მოძრაობა“ ერთიანია სტრატეგიაში – მიხეილ სააკაშვილის, ნიკა გვარამიასა და სხვა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება, ხელისუფლების ცვლილება ვადამდელი არჩევნების გზით, დაჩქარებული ტემპით აუცილებელი რეფორმების გატარება და ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მიღება. ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობა არის ჩვენი სახელმწიფოს თავისუფლების, უსაფრთხოების, მშვიდობისა და კეთილდღეობის წინაპირობა.

ჩვენ ღია ვართ დისკუსიისთვის, როგორ დავაჩქაროთ ოლიგარქის მმართველობის დასასრული საქართველოში. ჩვენთვის პარტიის არჩეული თავმჯდომარისა და პარტიის მმართველობის მიმართ კრიტიკული და საქმიანი შენიშვნები მისასალმებელია. ამავე დროს, შეურაცხყოფა და ურთიერთობის ქუჩური წესი მიუღებელი და დაუშვებელია.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ გადაუხვევს ხელისუფლების ვადამდელი არჩევნების გზით ცვლილების არჩეულ სტრატეგიას და ამ გზაზე, აქტიურად ითანამშრომლებს ყველასთან, ვისთვისაც ეს იდეა არის მნიშვნელოვანი.

ძალა ერთობაშია!“

„პუტინის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება საკუთარი წარუმატებლობის აღიარებაა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მამუკა არეშიძე: „საქართველომ კი არ უნდა შეზღუდოს რუსი მოქალაქეების შემოსვლა, არამედ, უნდა მოაწყოს ფილტრაცია“

21 სექტემბერს, ვლადიმირ პუტინმა რუსეთში ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა, რაც იმ პირების ომში გაწვევას გულისხმობს, რომლებსაც გარკვეული სამხედრო მომზადება აქვთ გავლილი. პუტინის თქმით, მობილიზაცია უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ე.წ. რეფერენდუმების უსაფრთხოდ ჩატარებას უკავშირდება. მობილიზაციის გამოცხადებამ რუსეთში პანიკა გამოიწვია, მოსახლეობა ქვეყნიდან გარბის და როგორც მედია იუწყება, საქართველო-რუსეთის საზღვარზე, რუსეთის მოქალაქეების რამდენიმეკილომეტრიანი კოლონა დგას. პუტინის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციას მწვავე პროტესტი მოჰყვა დაღესტანშიც – ხალხი ქუჩაში გამოდის და მასობრივი დაუმორჩილებლობით იმუქრება. რა ვითარებაა რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ასევე, ჩრდილო კავკასიაში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ? – „ვერსია“ კავკასიის საკითხების ექსპერტს, ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ეს მოსალოდნელი იყო, თუმცა რუსეთის მოსახლეობას მაინც ეგონა, რომ პუტინი თავს შეიკავებდა მობილიზაციისგან. ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება ნიშნავს საკუთარი წარუმატებლობის აღიარებას, რადგან იმ რესურსით, რომელიც რუსეთის არმიას ჰქონდა, ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. მოგეხსენებათ, თავიდან რუსები აცხადებდნენ, რომ ერთ კვირაში დაამარცხებდნენ უკრაინელებს. ასე რომ, წარუმატებლობის ნაწილობრივ აღიარება მოხდა, მაგრამ მობილიზაციის წინ, დაიწყო ძალიან საინტერესო პროცესი, რომლის გადაფარვაც მობილიზაციით სცადეს, რადგან მიხვდნენ, რომ შეცდომა იყო რეგიონების ხელმძღვანელების დავალდებულება ადგილობრივი დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილების შექმნის თაობაზე. რუსეთის ფედერაციის ყველა სუბიექტმა დაიწყო ამ დავალების შესრულება – ადგილობრივი მოხალისეებისგან სამხედრო ბატალიონების შექმნა, მაგრამ საბოლოოდ, გამოიკვეთა სურათი, რომელიც ტრაგიკომიკურია და რუსეთის პოლიტიკისთვისაა დამახასიათებელი. ბრძანების პათოსიდან გამომდინარე, ეს ბატალიონები კომპლექტდებოდა ადგილობრივი მოსახლეობით და შეიქმნა ნაციონალური ბატალიონები. მაგალითად, ჩეჩნეთში სამი ასეთი ბატალიონი შეიქმნა. საინტერესოა ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში, ბატალიონებს დაერქვა მათი ეროვნული გმირების სახელები და ისინი ეროვნული გმირები იმიტომ იყვნენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა ასეთი ბატალიონები, რომლებიც ფრონტის ხაზზე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ როგორც ჩანს, მოსკოვში მიხვდნენ, რომ ეს ეროვნული ბატალიონები ხიფათის შემცველია, თავად მოსკოვისთვის. ესაა სხვადასხვა ეროვნების მიხედვით დაკომპლექტებული შეიარაღებული ხალხი, რომელმაც უცებ, შეიძლება, იარაღი შემოუტრიალოს რუსეთს. ამიტომ, ეს პროცესი არ გაუჩერებიათ, მაგრამ გამოაცხადეს მობილიზაცია ანუ მობილიზაციის გამოცხადების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, სხვა უამრავ მიზეზთან ერთად.

ოფიციალური მოსკოვის განცხადებით, 300 000 კაცი უნდა გაეწვიათ მობილიზაციით, ამას მოჰყვა აღშფოთების უდიდესი ტალღა, რომელმაც გამოიწვია 261 000 მამაკაცის გასვლა რუსეთიდან. რასაკვირველია, ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ რაც წერია, ფარატინა ქაღალდია, რადგან სინამდვილეში, მობილიზაციის მსურველთა რიცხვი ბევრად მეტია და დაახლოებით, მილიონს უახლოვდება. ამასთან, იმ კატეგორიის ადამიანებზე, რომლებიც ამ სამობილიზაციო დოკუმენტშია აღწერილი, რეგიონების ხელმძღვანელები არ მოჰყვებიან. კორუფციის დონე რუსეთში მაღალია, ძალიან ბევრია კომისარიატის თანამშრომლების მოსყიდვის ფაქტი და ამიტომ, ხელს ავლებენ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს მობილიზაცია არ ეხება. ამიტომაცაა, რომ საპროტესტო ტალღა საკმაოდ მძაფრი გახდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსია – თუ გავიხსენებთ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს, კავკასიელები მობილიზაციას ნაკლებად ექვემდებარებიან. მოხალისეებად მიდიან, მაგრამ მობილიზაციის ფაქტი არ მოსწონთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაღუპულების სტატისტიკა რეგიონების მიხედვით, იწვევს აღშფოთებას პერიფერიებზე. მაგალითად, დაღესტანს დაღუპული ჰყავს 300-მდე მოქალაქე, როცა მოსკოვს, რომელიც ათჯერ დიდია, სულ 15 მოქალაქე ჰყავს დაღუპული. ამიტომ, ეს უაროფითი განწყობა, რომ საზარბაზნე ხორცად იყენებს რუსეთი, დაღესტანში მობილიზაციამდე შეიქმნა და არა მარტო დაღესტანში – მთელ ჩრდილო კავკასიაში. ალბათ, გახსოვთ ოსების გამოქცევა ფრონტიდან, 300 კაცამდე გამოიქცა, რომელთაც ცუდი ინფორმაცია ჩამოიტანეს ფრონტიდან. ამ ფონზე, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელმა ჯერ ნაციონალური ბატალიონი შეადგინა, სახელწოდებით – „ალანია“ და შემდეგ გაწვევაში აქტიურად ჩაერთო.

სხვათა შორის, მომდევნო რესპუბლიკა, სადაც საპროტესტო ტალღის აგორებას ვვარაუდობ, არის ოსეთი და ყაბარდო-ბალყარეთი, რადგან ნალჩიკშიც ბევრი ადამიანი შეიკრიბა მდუმარე აქციით.

– სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაღესტანში პარტიზანული დაჯგუფებები იქმნება მობილიზაციის აღსაკვეთად. ამაზე ინფორმაციას ფლობთ?

– პარტიზანულ ჯგუფებთან დაკავშირებით, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ წინააღმდეგობის ძლიერი ტალღა რომ იქმნება, შემიძლია, ეს დაგიდასტუროთ. ბოლო სამი დღეა, ვმონაწილეობ ღონისძიებაში, რომელსაც პირობითად, შეგვიძლია, დავარქვათ კავკასიელების გადმოტარება საქართველო-რუსეთის საზღვარზე და დაახლოებით, 40 ადამიანი, ჩემი დახმარებით შემოვიდა ამ დღეებში საქართველოში. ძირითადად, იყვნენ ჩერქეზები, რამდენიმე მათგანი არ გამოუშვეს, 2 ჩეჩენი არ გამოატარეს, როგორც ვიცი. სოციალურ ქსელში ვრცელდება ინფორმაცია, კავკასიელებს არ ატარებენ და რუსებს უშვებენო, რაც ტყუილია. მაგალითად, ყაბარდოდან ცოლ-ქმარი არ შემოატარეს გასაგები მიზეზის გამო – რამდენიმე წლის წინ, ცოლი აფხაზეთში ყოფილა დასასვენებლად ნამყოფი.

– ანუ ე.ი. საოკუპაციო ტერიტორიების შესახებ კანონი ამოქმედდა...

– დიახ და ეს გასაგები მიზეზია.

– ბატონო მამუკა, გამოდის, რომ ჩრდილო კავკასიელებისთვის საქართველო ახლა თავშესაფარი ხდება?

დასასრული მე-8 გვერდზე

„პუტინის მიერ ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება საკუთარი წარუმატებლობის აღიარებაა“

მე-7 გვერდიდან

– დიახ, რასაკვირველია, რადგან ახლოსაა საქართველო, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რადგან განსაკუთრებით ჩრდილოკავკასიელებს, ქვეცნობიერის დონეზე, ყოველთვის აქვთ გაცნობიერებული, რომ საქართველო კავკასიის ცენტრია და ექსტრემალურ სიტუაციაში, ყოველთვის შეიძლება, საქართველოს შეაფარო თავი, ეს ისტორიულად ასე იყო.

– აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რა ხდება მობილიზაციასთან დაკავშირებით, რა განწყობებია?

– ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იქ მობილიზაცია გამოცხადდა, არაზუსტია. ეს ნარატივი გაავრცელა აფხაზეთის დეფაქტო პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა, ნატალია სმირმა, რომელიც აცხადებს, რომ აუცილებლად შეეხება მობილიზაცია აფხაზებსაც, რაც ლოგიკურად მართალია. ეს იმიტომ, რომ ხელშეკრულებაში პარტნიორობისა და ერთობლივი უსაფრთხოების სივრცის თაობაზე, რომელსაც თავის დროზე აფხაზებმა ხელი მოაწერეს, გათვალისწინებულია მუხლი, რომელიც გულისხმობს, რომ თუ საფრთხე შეექმნება რომელიმე ქვეყანას, მეორე ქვეყანა უნდა დაეხმაროს. აფხაზები ამას სათავისოდ წერდნენ, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს, თუ რა მოხდებოდა... აქედან გამომდინარე, აფხაზებს აქვთ, როგორც მორალური, ასევე, იურიდიული ვალდებულება, დაეხმარონ რუსეთს. ჯერ მობილიზაცია არ გამოცხადებულა აფხაზეთში და ის დოკუმენტი, რომელიც რუსეთში შეიქმნა, აფხაზებს არ ეხება, მაგრამ აუცილებლად „მოქაჩავენ“ რუსები აფხაზებს და მოსთხოვენ, რომ ჩაერთონ ომში, რასაც მოჰყვება ძალიან სერიოზული აღშფოთება, რადგან მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, აფხაზები რუსებმა დააჩვიეს, რომ ეს არის ერი, რომელიც ორიენტირებულია სხვისი რესურსების გამოყენებაზე...

ე.წ. სამხრეთ ოსეთში კი სხვაგვარი მდგომარეობაა, ის მთლიანად ქცეულია ერთ დიდ რუსულ სამხედრო ბაზად. იქ ახალგაზრდა კაცი სხვაგან ვერც დასაქმდება. ისინი რუსული ჯარის ოფიციალური წევრები არიან. სხვათა შორის, საინტერესოა უკრაინაში ტყვედჩავარდნილების სტატისტიკა, სადაც ბევრი ოსი აღმოვაჩინე, მათ შორის, სამხრეთ ოსური გვარით. დაახლოებით, 20 ე.წ. სამხრეთ ოსი იყო ტყვედ ჩავარდნილი და მათგან არც ერთი იყო მეომარი. ყველა იყო სანიტარი, მძღოლი, სამზარეულოში დასაქმებული – მეორე კატეგორიის დამხმარე სამხედრო მოსამსახურე.

საერთოდ, მიჩვეულები არიან, რაც შეიძლება, კარგად მოიწყონ ცხოვრება, ჯარშიც კი... რაც შეეხება იმ საკითხს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში პროტესტი მოჰყვება თუ არა მობილიზაციას, ეს პროტესტი სოციალურ ქსელში უკვე ჩანს, მაგრამ ამას არ გასცდება, ესენი საპროტესტოდ ქუჩაში გამომსვლელები არ არიან.

– ე.ი. პროტესტი უფრო აფხაზეთშია მოსალოდნელი, ვიდრე ე.წ. სამხრეთ ოსეთში, არა?

– დიახ. სხვათა შორის, სოციალურ ქსელში აფხაზები ძალიან აგრესიული არიან რუსების მიმართ, რაც შეიძლება, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ ამას გამოყენება უნდა, გამომყენებელს კი ვერავის ვხედავ.

– ინალ არძინბამ ბოლო დროს წამოიწყო განცხადებები იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოსგან აფხაზეთზე თავდასხმის საფრთხე იზრდება. ეს ნარატივი, შესაძლოა, იმიტომ სჭირდება, რომ იცის, აფხაზები როგორ ნეგატიურად შეხვდებიან რუსეთის მობილიზაციას და ცდილობს, საქართველო უფრო „დიდ საფრთხედ“ დაანახოს ადგილობრივებს, ვიდრე რუსეთია?..

– რასაკვირველია, ეს არის შეფუთვა იმ ვითარებისა, რომელიც აფხაზეთშია და პროპაგანდირება იმ საფრთხისა, რომელიც არ არსებობს, მაგრამ აფხაზური საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ე.წ. კლიმატს ქმნის აფხაზეთში, ასეთ „ანკესზე“ აღარ „ეგება“. ეს

რომ ეთქვა მარტი-აპრილში, წამოეგებოდნენ, რადგან მაშინ აფხაზეთში ძალიან დიდი შიში იყო, რომ საქართველო შეიჭრებოდა აფხაზეთში. მაშინ ვეტერანების მობილიზაციაც კი დაიწყო, მაგრამ ჩაცხრა ეს ამბავი, დაინახეს, რომ არავინ აპირებს შეტევას. მერე უფრო კეთილგანწყობილნი გახდნენ და დააფასეს ოფიციალური თბილისის ეს ნაბიჯი. ამის შემდეგ გაძლიერდა ანტირუსული განწყობები და როცა რამდენჯერმე გაისმა მოხალისეების მოგროვების სურვილი, საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა და ჩაიშალა.

სხვათა შორის, როგორც წეღან აღვნიშნე, იმპერიის პერიოდში, ქართველების გარდა, კავკასიელები ჯარში არ მიჰყავდათ, მხოლოდ მოხალისეები მიდიოდნენ. ჩრდილო კავკასილებსა და მათ შორის, აფხაზებზეა საუბარი. მეორე მსოფლიო ომში მიჰყავდათ ჩრდილო კავკასიელები, მაგრამ აფხაზებს ძალიან ფრთხილად უდგებოდნენ და ცდილობდნენ, მოხალისეობის ფორმა ჰქონოდა. მოკლედ, აფხაზები მობილიზაციას ექვემდებარებიან რთულად.

– ბატონო მამუკა, თქვენი მოსაზრება მაინტერესებს რუსეთიდან საქართველოში შემოსულ ხალხთან დაკავშირებითაც. BBC ავრცელებს ინფორმაციას, რომ რამდენიმეკილომეტრიანი რიგი დგას ლარსის გამშვებ სასაზღვრო პუნქტთან... როგორ ფიქრობთ, უნდა შეზღუდოს საქართველომ რუსი მოქალაქეების შემოშვება ქვეყანაში?

– საქართველომ არ უნდა შეზღუდოს რუსი მოქალაქეების შემოსვლა, არამედ, ფრთხილად უნდა იყოს და მოაწყოს ფილტრაცია ამ ხალხის შემოსვლის დროს და არა მარტო საზღვარზე. ძალიან რთული ვითარებაა საზღვარზე. სამი დღეა, ამ თემით ვარ დაკავებული და ვიცი, რა დღეშიც არიან ჩვენი მესაზღვრეები, როგორი დაძაბული მუშაობაა. 30-კილომეტრიანი რიგი რომ მიეჭრება საზღვარს, ხომ ხვდებით, რა ამბავიც იქნება... ეს 28-მდეა და ალბათ, 28-ში დაკეტავენ რუსები საზღვარს. სხვადასხვა კატეგორიის ხალხია, იქ არიან ადამიანები, რომლებიც გამორბიან რუსეთიდან ეკონომიკური თუ სამობილიზაციო თემების გამო და მათ შორის, არიან კავკასიელებიც, რომელთა არშემოშვებაც არასწორი იქნება, მაგრამ შემდეგაა სამუშაო გასატარებელი, გასარკვევია, თუ ვინ არიან ეს ადამიანები, რადგან მესაზღვრე მოკლე დროში ვერ გაარკვევს ყველაფერს, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. დღეს, დაახლოებით, 70 000-მდე რუსი და ბელორუსია საქართველოში და ძირითადად, თბილისსა და ბათუმში არიან გადანაწილებულნი. ცხოვრება გაძვირდა ამის გამო, რადგან მათ შედარებით მეტი ფული აქვთ, ვიდრე რიგით ქართველებს და ისინი მეტს იხდიან, ცხოვრებაც შესაბამისად ძვირდება. ამიტომ, როცა ხელისუფლება ტრაბახობს, რომ ეკონომიკის მაჩვენებელი იზრდება, ერთი მხრივ, რეალობაა, მაგრამ მეორე მხრივ, მოქალაქეების კეთილდღეობაზე არ მოქმედებს. ამიტომ, სახელმწიფომ ეკონომიკის სხვა რელსებზე გადაყვანაზე უნდა იფიქროს, რომ ყველა მოქალაქისთვის თანაბარი იყოს ვითარება და ეს ვითარება კარგახანს გაგრძელდება, რადგან ომის დასრულებას არ ვვარაუდობ. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ეს ომი მაქსიმალურად გაჭიანურდეს, რადგან დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის დამარცხება, ოღონდ დამარცხება დასუსტების ხარჯზე, და არა სამხედრო თვალსაზრისით, რადგან მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული ბირთვული ომის საფრთხე.

– საინტერესოა, სომხეთსა და აზერბაიჯანში თუ მიდიან რუსები იმ რაოდენობით, როგორც ჩვენთან, საქართველოში?

– აზერბაიჯანში ნაკლებად, მაგრამ ერევანში, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა, რაც თბილისში. სხვათა შორის, იგივე მდგომარეობაა ალმათსა და ტაშკენტშიც. აზერბაიჯანშიც საკმაოდ სერიოზული ნაკადია რუსებისა, მაგრამ აქ საქართველოს მომხიბვლელობას აქვს მნიშვნელობა. ტრადიციულად ასე იყო, რუსებს ბევრად უფრო კარგი ურთიერთობა აქვთ ქართველებთან და სომხებთან, ვიდრე, ვთქვათ, აზერბაიჯანელებთან.

ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მინდა დავამატო – უბედურება ისაა, რომ ბევრი ქართველისთვის გამაღიზიანებელია რუსეთიდან შემოსულების პოზიცია. მაგალითად, მე არაერთი ისეთი ადამიანი შემხვდა, რომელმაც არ იცის, რა მოხდა აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით და მესმის ქართველების გაღიზიანება იმის გამო, რომ რუსებს სხვების გამოყენების ფსიქოლოგია აქვთ და აბსოლუტურად მართალია საზოგადოება, მაგრამ სახელმწიფოს ამოცანაა, რუსი საზოგადოების საპროტესტო ფაქტორი სწორად გამოიყენოს და წარმართოს.

– რას გულისხმობთ?

– მეტს არაფერს ვიტყვი... მიუხედავად იმისა, რომ ისტორია არ იციან, ტყუილ-მართალს ვერ არჩევენ და დამნაშავენი არიან, მეორე მხრივ, ისინი არიან პუტინის რეჟიმის წინააღმდეგნი და მათთან მუშაობაა საჭირო, თავის ნებაზე მიტოვება არ შეიძლება. მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული სხვადასხვა სახელმწიფო-საზოგადოებრივი სტრუქტურები ამ ადამიანებთან ურთიერთობაში.

სამართალი

№38 28 სექტემბერი 2022 წ

თბილისის ახალ უბანში გოგონას გვამი იპოვეს

რა კავშირი ჰქონდა გარდაცვლილს მილიციელთან და ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ

ბათო ჯაფარიძე

არსებობს საქმეები, რომლებიც შემდეგ სახელმძღვანელოებში შეაქვთ, რადგან დამნაშავე ძალიან ჭკვიანია და იმდენად ჩახლართულ კომბინაციას აწყობს, გამომძიებლებს არაერთი ღამის გატეხვა უწევთ, რათა საქმე გახსნან. შემთხვევა, რომელსაც ახლა გიამბობთ, 80-იანი წლების გარიჟრაჟზე მოხდა, მაშინ, როცა არც მობილური ტელეფონები იყო, ყველას არც ფერადი ტელევიზორი ჰქონდა და ზოგადად, გამომძიებლები მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების იმედად იყვნენ.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კრიმინალი მოხდა – თბილისის ერთ-ერთ ახლადმშენებარე უბანში, მიყრუებულ ადგილას, გოგონას გვამი ნახეს. გოგოს თავი აგურით ჰქონდა გატეხილი და სწორედ თავზე მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა. იქვე, ახლოს დასრულებული კორპუსი იყო, მაგრამ გოგონას არავინ იცნობდა, თუმცა...

„იმის მიუხედავად, რომ გარდაცვლილს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა, ვინაობა მალევე დავადგინეთ. ერთ-ერთი განყოფილების ოპერმუშაკმა, მას შემდეგ, რაც გარდაცვლილის ფოტოები განყოფილებებში დავაგზავნეთ, თქვა, რომ მოკლული მისი საცოლე იყო. რა თქმა უნდა, ეჭვი მასზეც მივიტანეთ, მით უმეტეს, რომ ოპერმა არ უარყო, გოგოსთან იმ დროისთვის უჩვეულო, ძალზედ ახლო ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა გადაწყვეტილი იყო, რომ ცოლად მოჰყავდა, ოჯახსაც გააცნო, გოგოს მშობლებიც გაიცნო და ქორწილსაც მალე აპირებდნენ. ამან ეჭვი კიდევ უფრო გაამძაფრა, ხომ შეიძლებოდა, ბიჭს რაღაც გაეგო, არ მოსწონებოდა, ან უბრალოდ, გადაეფიქრებინა და მოეკლა. მით უმეტეს, მკვლელობა უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული და მკვლელს სამხილიც არ ჰქონდა დატოვებული“, – გვიყვება შემდგომში უკვე წიგნში შეტანილ შემთხვევას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გამომძიებლებმა ეჭვმიტანილის სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ამაოდ, იქ ვერაფერი იპოვეს, გარდა გოგონას რამდენიმე ნივთისა, თუმცა ოპერი არც უარყოფდა, რომ გოგო ხანდახან მასთან რჩებოდა, ისინი, პრაქტიკულად, ცოლ-ქმარი იყვნენ, თუმცა მშობლების ხათრით, სანამ ყველაფერს არ გააოფიციალურებდნენ, ერთად ღიად ცხოვრებას ერიდებოდნენ. სამართალდამცავმა ისიც თქვა, რა შეხსნეს გოგოს მოკვლის შემდეგ – მის მიერ ნაჩუქარი ოქროს ბეჭედი, ოქროს საყურეები, ოქროს საათი და ოქროს ყელსაბამი. რა თქმა უნდა, ყველა ამ ნივთის აღწერილობა მაშინვე დაეგზავნა შავ ბაზარზე მომუშავე ოქრომჭედლებს, გადამყიდველებს, თუმცა არსაიდან არაფერი ისმოდა, მსგავსიც კი არავის მიუტანია ანუ მკვლელმა კარგად იცოდა, რას მოიმოქმედებდა გამოძიება და ამიტომ, ხელის დაცლისგან თავს იკავებდა.

საქმეში საინტერესო ის იყო, რომ გოგონას არ ჰყავდა მტერი, გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ის ან სამსახურში იყო, ან მამაკაცთან, რომლის ცოლობასაც აპირებდა, დანარჩენ დროს კი, უბრალოდ, გზაში ატარებდა სამსახურამდე ან საქმრომდე რომ მისულიყო. არანაირი სასიყვარულო ურთიერთობა ან ფლირტი ვინმესთან, მას ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა, სახლში ნაყიდი ჰქონდა მომავალი ოჯახისთვის საჭირო პირველადი მოხმარების ნივთები – ჭიქები, თეფშები, დანა-ჩანგალი. ჰო, მის ბინაში სამართალდამცავებმა 3 ათასი მანეთიც იპოვეს, კი გაუკვირდათ, მაგრამ ოპერმუშაკმა თქვა, მეუბნებოდა, დანაზოგი მაქვს, მთელი ცხოვრება ვაგროვებდი და როცა დავქორწინდებით, იმ ფულით „სტენკა“ უნდა ვიყიდოო... გამოძიება ჩიხში შევიდა და იმის მიუხედავად, რომ საქმრო ყოველთვის მზად იყო, კოლეგებს დახმარებოდა და ნებისმიერი სამუშაო შეესრულებინა, მისთვის საქმე არ იყო, რადგან გამომძიებლებმა, უბრალოდ, არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ. და სწორედ მაშინ, როცა ყველა ძაფი თითქოს გაწყდა... აფეთქების ხმა გაისმა. ყველასთვის მოულოდნელად, ნივთმტკიცებების საცავი იმ განყოფილებაში აფეთქდა, სადაც მოკლული გოგოს საქმრო მუშაობდა. საცავის მცველი და იქ შემთხვევით მყოფი სამართალდამცავი, სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ, თუმცა ორივემ სერიოზული დამწვრობა მიიღო. აფეთქების დროს, გარდაცვლილის საქმრო განყოფილების ეზოში იდგა, მან დარეკა სახანძროში, მან პირველმა მოახერხა, სტენდიდან ცეცხლმაქრის ჩამოხსნა და პირველი შევარდა მეგობრების დასახმარებლად. როცა სახანძრო მოვიდა, ცეცხლი სწორედ მისი ძალისხმევით, უკვე ლიკვიდირებული იყო.

„გულწრფელად გეტყვი, თავიდან ვიფიქრე, რომ ის ამ აფეთქებას ელოდა და იმიტომ არ დაიბნა. რაღაცნაირად, ინტუიციით, იმ გოგოს მკვლელობასა და ამ აფეთქებას ერთმანეთს ვუკავშრდებდი და ამ კავშირს ერთადერთი კვეთა ჰქონდა – ოპერმუშაკი. ამიტომ, ხელმძღვანელობას ვთხოვე, რომ ის 48 საათით დამეკავებინა და თანხმობაც მივიღე. 48 საათი დაკავებული თითქმის უწყვეტად წინ მეჯდა და ბევრს, ძალიან ბევრს ვსაუბრობდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საცავში... ცეცხლმაქრი აფეთქდა. საქმე შემდეგში მდგომარეობდა – მილიციის ეკიპაჟი ერთ-ერთი ბაზრის შესასვლელთან გამოიძახეს, იქ ერთმანეთს ბაზრის დარაჯი და ვიღაც კაცი ეჩხუბებოდნენ, კაცი ამტკიცებდა, დარაჯმა ჩემი მანქანა დაჭეჭყა და ეს სწორედ ცეცხლმაქრით ჩაიდინაო, დარაჯი კიდევ გიჟდებოდა, რა ცეცხლმაქრი, მეძინა და რომ გამოვედი, ეს კაცი დამეტაკა, ჩემი მანქანა რატომ დაჭეჭყეო. როგორც მერე გაირკვა, კაცმა მანქანა სწორედ დარაჯის ჯიხურის წინ გააჩერა, თავად ბაზარში შევიდა და როცა იქიდან გამოვიდა, ვიღაც გამვლელმა უთხრა, დარაჯმა შენი მანქანა ცეცხლმაქრით დაჭეჭყაო და ცეცხლმაქრიც დაანახა. მერე ყველაფრი აირია და ვიღაცამ მილიციაში დარეკა, თუმცა ვინ, არავინ იცოდა. ჰოდა, სამართალდამცავებმა დაკავებულები დაკითხვაზე მეორე დღისთვის დაიბარეს, მანამდე კი ცეცხლმაქრი, როგორც ნივთმტკიცება, ისე წამოიღეს და ოთახში შეიტანეს. იმ საღამოს ექსპერტიზა ვერ ჩატარდებოდა და ყველაფერი მეორე დღისთვის გადაიდო. ექსპერტები ამტკიცებდნენ, ბომბი სწორედ ცეცხლმაქრში იყო დამონტაჟებული საათის მექანიზმით და შეტანიდან, დაახლოებით, ორ საათში აფეთქდაო ანუ ვიღაცამ ზუსტად იცოდა, რას იზამდნენ სამართალდამცავები, მაგრამ... რა უნდოდა მას, ვინც ბომბი დაამონტაჟა? ვინმეს მოკვლა? ეს თითქმის გამორიცხული იყო, რომ კონკრეტული ადამიანის მოკვლა ასე ეცადათ. საცავის მორიგეც კი, დღის განმავლობაში, ადგილზე ძალიან იშვიათად იყო და მით უმეტეს, იმის გათვლა, რომ კონკრეტული ადამიანი, კონკრეტულ დროს შევიდოდა საცავში, წარმოუდგენელი გახლდათ.

„ადამიანის მოკვლა კი არა, რომელიმე ნივთმტკიცების განადგურება სურდათ, იქ ხომ ლამის ყველაფერი დაიწვა?!“ – მიაძახა გამომძიებელს დაკავებულმა ოპერმუშაკმა და მაძებრებმა ერთმანეთს გადახედეს – ის ცამდე მართალი იყო. სასწრაფოდ, ყველა საქმე ამოიღეს და მათ შორის ისეთები გამოარჩიეს, სადაც ნივთმტკიცებად ისეთი ნივთი გადიოდა, რომელსაც ცეცხლი გაანადგურებდა, თორემ დანას, პისტოლეტს ან რკინის ნაჭერს ცეცხლი ვერაფერს დააკლებდა, მით უმეტეს, ის მალე ჩააქრეს. ყველაზე საინტერესოც სწორედ აქ დაიწყო – ერთადერთი ნივთი, რომელიც განადგურდა, თავშალი იყო. თავშალი ოპერმუშაკებმა მაშინ იპოვეს, როცა გამოძახება მიიღეს – ერთ-ერთ კორპუსში ასაკოვანი ქალი დანით დაჭრეს და როგორც ჩანს, თავშალი სწორედ თავდამსხმელს ეკუთვნოდა, რადგან იგი დაზარალებულს ჰქონდა ჩაბღუჯული ხელში და სავარაუდოდ, დამნაშავემ ვეღარ წაართვა. ასაკოვან ქალს საკუთარი თავშალი ეკეთა ანუ ორი თავშლით გარეთ არ გამოვიდოდა და ძალოვნებისთვის ერთადერთი ნივთმტკიცება ეს იყო. რაც ყველაზე საინტერესო გახლდათ, როცა მილიციაში მოქალაქეებმა დარეკეს, ოპერ-ჯგუფთან ერთად, გარდაცვლილი გოგონას საქმროც იყო გასული. კვანძი კი შეიკრა, მაგრამ...

გამომძიებლებმა დაჭრილი ქალის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს. ის უკვე შინ იყო გაწერილი და ამიტომ, სახლში მიაკითხეს. მან ჯიუტად იგივე გაიმეორა, რაც ადრე – არ დამინახავს, თავს ვინ დამესხა, ვიღაც ბიჭი იყო, ფულს მართმევდაო და სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ, რომ ტყუოდა – ბიჭი თავშალით არ იქნებოდა. ქალს შვილი, რძალი და 3 შვილიშვილი ჰყავდა, მაგრამ ისინი ცალკე ცხოვრობდნენ. მილიციის თანამშრომლები შვილის დასაკითხად წავიდნენ.

„ქალები ჩაცმას დიდ ყურადღებას აქცევენ, ცდილობენ, ერთ ფერში ჰქონდეთ კაბა, ჩანთა, ფეხსაცმელი... ჰოდა, როცა დასაკითხად წავედით, ჩემი ყურადღება რძლის კაბამ მიიპყრო. მე დამწვარი თავშლის ფოტო ნანახი მქონდა და მაშინვე დავასკვენი, ამ კაბას სწორედ ის თავშალი მოუხდებოდა-თქო. მერე... მერე მეზობლები დავკითხეთ, ოღონდ არაოფიციალურად და რამდენიმემ დაადასტურა, რძალს დედამთილი რომ მოეკლა, არ გაგვიკვირდებოდა, ერთმანეთს ვერ იტანდნენო. ქმარი კი პროფესიით ქიმიკოსი იყო, შესაბამისად, ბომბის დამზადება მარტივად შეეძლო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძალოვნები არ აჩქარდნენ, დაჭრილის შვილის ფოტო იმ კაცს ანახეს, რომელიც ბაზარში დარაჯზე იწევდა, მანქანა დამიჭეჭყაო და მან მაშინვე ამოიცნო პირი, რომელმაც დარაჯზე მიუთითა. რა თქმა უნდა, ეჭვმიტანილი მაშინვე დააკავეს და რაც მთავარია, დაკავებული მოკლული გოგონას თანაკლასელი იყო. მისი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ ერთ-ერთ ქურთუკზე გოგონას სისხლის ლაქები აღმოჩნდა. რამეს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

„დედაჩემმა და ცოლმა არაერთხელ იჩხუბეს. ბოლოს რაზე იკამათეს, არ ვიცი, მაგრამ ჩემი ცოლი დახვდა და დანა დაარტყა. დედა საავადმყოფოში მიყვანისთანავე ვნახე და პირობა მომცა, რომ მისი შვილიშვილების დედას ციხეში არ გაუშვებდა, მაგრამ მას ინსტიქტურად ხელში დარჩა სამხილი, რომელიც ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიყვანდა ძალოვნებს ჩემი ცოლის კვალზე. ეს სამხილი უნდა გამექრო და დავიწყე იმ სამართალდამცველის ძებნა, ვინც ფულის სანაცვლოდ, ამას იზამდა. ამ ძებნაში, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემი თანაკლასელი ერთ-ერთი ის თანამშრომელი იყო, ვინც ინციდენტის დროს, ადგილზე მოვიდა. კლასელს შევხვდი, ავუხსენი ჩემი გასაჭირი და თავშლის სანაცვლოდ, 5 ათას მანეთს დავპირდი. 3 ათასი მივეცი, 2 მერე უნდა მიმეცა და იმან კიდევ გადამაგდო. ჰო, გადამაგდო, ბოლო შეხვედრისას ასე მთხრა, ჩემი საქმროა, ვერაფერს ვეტყვი, ვერც ფულს დაგიბრუნებ, უკვე დავხარჯე, მოკლედ, კარგად იყავიო. გამწარებულზე ჩავარტყი აგური, მოკვლა არ მინდოდა“, – დაასრულა მოყოლა დაკავებულმა.

სასამართლომ მას გაუფთხილებლობით მკვლელობისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მის ცოლს, დედამთილის დაჭრისთვის, მხოლოდ პირობითი სასჯელი ერგო, რადგან... ქუჩაში 3 ბავშვი რჩებოდა.

ვინ არის გოგო, რომელსაც სოფლის ტყეში ყელი გამოჭრეს

როგორ მიითვისა საშიშმა დამნაშავემ ქართველი ობოლი ბიჭის სახელი და გვარი

ბათო ჯაფარიძე

მანიაკი, სერიული მკვლელი – ეს ტერმინები საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის უცხო იყო, სანამ არა მარტო საბჭოეთმა, არამედ, მთელმა მსოფლიომ ანდრეი ჩიკატილოს სახელი და გვარი არ გაიგო. სერიული მკვლელი, რომელიც დახვრიტეს, დღემდე მსოფლიოს ერთ-ერთ უსასტიკეს დამნაშავედ ითვლება. საბჭოთა პროპაგანდა მაქსიმალურად ცდილობდა ამ ფაქტის დამალვას, ცდილობდა, არავის გაეგო, რომ საბჭოთა კავშირში ვიღაც ბავშვებს კლავდა და აუპატიურებდა, მაგრამ გარდაცვლილთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, დამალვა ვერ მოხერხდა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებმა თქვეს, რომ მათ სოფელში მანიაკი გამოჩნდა, რომელიც ახალგაზრდა გოგოებს ერჩოდა. რაც მთავარია, მოქალაქეები ამ მოსაზრებას ფაქტებით ამყარებდნენ – სამ გოგოს ვიღაც თავს დაესხა და გაუპატიურება დაუპირა, მეოთხე კი მოკლა, თუმცა არ უძალადია. სოფელი არ იყო სრულად ქართველებით დასახლებული, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ჭარბობდნენ. სამი უშედეგო თავდასხმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე განხორციელდა, მოკლული კი ქართველი გოგონა იყო, თუმცა არა იმ სოფლის მცხოვრებელი.

„აღნიშნულ სოფელზე ერთ-ერთი რეგიონის გაზეთში სტატია უნდა დაბეჭდილიყო, სადაც აღწერილი იქნებოდა, როგორ ძმურად ცხოვრობდნენ იქ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, მაგრამ ეს სოფელში არავის უნდა სცოდნოდა. ამიტომ, გოგონა ადგილობრივ ფერმაში მწველავად გააფორმეს, ბინად კი იქაურ ქვრივ ქალს შეუსახლეს. ორკვირიანი მივლინება მისთვის სავალალოდ დასრულდა – ტყის პირას გარდაცვლილი იპოვეს, ყელი ჰქონდა გამოჭრილი და სოფლელებმაც ხმაური ატეხეს, ხომ ვამბობთ, ჩვენს სოფელში მანიაკიაო. თბილისიდან ოთხი კაცი მიგვავლინეს, ჩვენც იმ ქვრივის სახლში დაგვაბინავეს და კატეგორიულად მოგვთხოვეს – ერთ კვირაში გახსნილი საქმე მინისტრის მაგიდაზე უნდა იდოსო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა სოფლის შესწავლა და საეჭვო პირების გამოვლენა დაიწყეს. პირველ რიგში, ეჭვი ერთ-ერთ მამაკაცზე მიიტანეს, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, აღრიცხვაზეც იყო და მარტო ცხოვრობდა. პარალელურად, მოუთმენლად ელოდნენ ექსპერტიზის შედეგებს დედაქალაქიდან, რათა ხელჩასაჭიდი რამე მაინც ჰქონოდათ. ფსიქიკურად დაავადებული პირი მტრედებს უვლიდა და მთელ დღეებს შინ ატარებდა. მასთან მეზობლის ქალი დადიოდა დასალაგებლად და საჭმლის გასაკეთებლად, რის გამოც, სოფლის საბჭო ქალს თვეში 70 მანეთს უხდიდა. მისი დაკითხვა ძალიან რთული გამოდგა, ძუნწად და არეულად პასუხობდა, მაგრამ ხელებზე აღებულმა ანალიზმა სისხლის კვალი ვერ აღმოაჩინა. არადა, ექსპერტები ამტკიცებდნენ, გამორიცხულია, გარდაცვლილისთვის ყელი ისე გამოეჭრა მკვლელს, თავად არ დასვრილიყოო. ამის მიუხედავად, დაკითხვის გაგრძელების შემდეგ, ეჭვმიტანილს ფსიქიკური შეტევა დაეწყო და გამომძიებლებზე გაიწია. პრინციპში, რაღა გაიწია, მუშტი-კრივი გაუმართა და რომ არა მისი მომვლელი ქალი, ეგებ, ეცემა კიდეც, თუმცა ქალმა დაავადებულს დაუყვავა, მიიხუტა და დააწყნარა, შემდეგ გამომძიებლებს ანიშნა, გამომყევითო.

„იმედი მაქვს, ამ ამბავს არ გაახმაურებთ. ეს კაცი მიყვარს, ჰო, მიყვარს, ბავშვობიდან მიყვარდა, მასაც ვუყვარდი. მერე მომიტაცეს და ფსიქიკური პრობლემებიც ამის გამო დაეწყო. ჩემი ქმარი გალოთდა, ამის მოვლა კი მე ვიკისრე და მასთან ჩვეულებრივი, ცოლ-ქმრული ურთიერთობა მაქვს. იმ ღამეს, როცა გოგო მოკლეს, მასთან ვიყავი, გვერდით მეწვა და არსად გასულა“, – თქვა ქალმა და ეჭვმიტანილის ალიბიც უზრუნველყო, მაგრამ სამართალდამცავებმა მისი სიიდან ამოღება არ იჩქარეს და ძიება განაგრძეს.

ფსიქიკურად დაავადებულის გარდა, სოფელში კიდევ ერთი მარტოხელა კაცი ცხოვრობდა, 42 წლის იყო და საინტერესო ისტორიაც ჰქონდა. ის 7 წლის გახლდათ, როცა მშობლები დაეღუპა და ბავშვთა სახლში გაამწესეს. მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, თუმცა დაახლოებით, რვა წლის წინ, სოფელში დაბრუნდა და მამა-პაპისეულ სახლში დასახლდა. მას შემდეგ, სოფლის ნამდვილ მარგალიტად იქცა, ყველას ხელს უმართავდა, ყველაფერი ეხერხებოდა, თავდაუზოგავად მუშაობდა და სასურველ სასიძოდაც ითვლებოდა, თუმცა ცოლის მოყვანას არ ჩქარობდა. როცა დაკითხეს, ძალიან მშვიდად თქვა, თუ მე ეჭვმიტანილი ვარ, ვერაფერს ვიზამ, სახლში ვიყავი, მარტო, მეძინა და ალიბი რომ უზრუნველყოს, ისეთი მოწმე არ მყავსო. მართალიც იყო, მარტოხელა კაცს ღამით მოწმე რომ არ ეყოლებოდა, ცხადი იყო.

ამასობაში, თბილისიდან ორი ამბავი მოვიდა, პირველი – გოგონა სურათებს იღებდა და ფოტოაპარატით გადაღებული ყველა სურათი გაამჟღავნეს, დაბეჭდეს და გამომძიებლებს გამოუგზვნეს და მეორე – ექსპერტების ვარაუდით, მას უკნიდან მიეპარნენ, ყელი ისე გამოჭრეს და გოგონას ლაბადაზე კატის შავი ბეწვი იყო შერჩენილი ანუ მას, ვინც გოგონა მოკლა, შავი კატა ჰყავდა. ეს ინფორმაცია ძალოვნებისთვის აშკარად ღირებული იყო. სურათების დათვალიერებამ ბევრი ვერაფერი მოიტანა, როგორც ჩანს, ის ძველ სახლებს იღებდა, ძირითადად, სწორედ სახლები იყო გადაღებული და კადრში შემთხვევით მოხვედრილი სოფლელები, ქალები, ბავშვები, კაცები, პირუტყვი... სურათებზე იყო სოფლის დაახლოებით 340-მდე მოქალაქე, ზოგი ორ-სამჯერაც კი. რაც შეეხება სახლების ფოტოებს, ყველაზე მეტჯერ გოგონას ის სახლი ჰქონდა გადაღებული, სადაც დაობლებული და შემდეგ სოფელში დაბრუნებული კაცი მარტო ცხოვრობდა. ეს გასაგებიც იყო, სახლი სოფლად ყველაზე ძველი გახლდათ და მარტო ფანჯრების ჩარჩოები ისე იყო მოჩუქურთმებული, აშკარა ინტერესს იწვევდა. შესაბამისად, სახლის პატრონიც კადრში რამდენჯერმე მოხვდა.

რაც შეეხება შავ კატს, ის სოფელში სულ ოთხ ოჯახს ჰყავდა, მაგრამ ოთხივე ისეთი იყო, ეჭვის მიტანა წარმოუდგენელი ჩანდა. თმა ოთხივე კატას შეაჭრეს და ექსპეტიზისთვის თბილისში გაუშვეს. პასუხმა არ დააყოვნა, თქვეს კონკრეტულად რომელც ცხოველს ეკუთვნოდა ბეწვი, მაგრამ ოჯახში ორი მოხუცი ცხოვრობდა, კაცს მარჯვენა ხელი დაზიანებული ჰქონდა, ვერანაირად ვერ მოკლავდა გოგოს და შესაბამისად, ბრალსაც ვერ წაუყენებდნენ, თუმცა მოხუცებმა ის თქვეს, ჩვენი კატა ძალიან მეგობრულია და არაერთ მეზობელთან დადის, აჭმევენ და ეფერებიანო.

„ძიება ჩიხში შევიდა. იმის გარკვევა, ვისთან დადიოდა კატა, პრაქტიკულად, წარმოუდგენელი იყო, რადგან ბევრმა თქვა, ჩემთანაც მოსულა, მაგრამ ეგ იყო თუ სხვა შავი კატა, არ ვიციო. მოვიწყინეთ და ეს დიასახლისმაც შეგვატყო. ღიმილით გვითხრა, მოდით, ძველ ფოტოებს დაგათვალიერებინებთ, ახალგაზრდობაში დაწყებითი კლასების მასწავლებელი ვიყავი, ნახეთ, როგორ შეიცვალნენ ბავშვები, თუ გამოიცნობთ, ვინ ვინ არისო. სურათების დათვალიერების ხასიათზე ნამდვილად არ ვიყავით, მაგრამ ხათრი ვერ გავუტეხეთ მართლაც გულისხმიერ მასპინძელს და შავ-თეთრ ფოტოებს ჩავხედეთ. ის კი გვიხსნიდა და გვეუბნებოდა, ეს ის ბიჭია, ამ სახლში რომ ცხოვრობს, ეს მეორე სახლშიო და თან იცინოდა. ერთ-ერთ ფოტოს დაადო ხელი, კადრი ახლოდან იყო გადაღებული, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ ბავშვი საშლელს ღეჭავდა და ქალმა სიცილით თქვა, ეს კიდევ ჩვენი ობოლია, ამ სურათის გადაღებიდან მალევე, მშობლები დაეღუპა და ბავშვთა სახლში წაიყვანესო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როგორც კი გამომძიებელმა სურათს დახედა, გაშეშდა. ბავშვს სურათზე ძალიან მკაფიოდ უჩანდა ყურის ნიჟარა, რომელსაც სპეციფიური ფორმა ჰქონდა, ლეღვის ფოთოლივით იყო გაშლილი და მასწავლებელმაც დაადასტურა, სასაცილო ყურები ჰქონდაო. ადამიანის სხეული ისეა მოწყობილი, ქირურგიული ჩარევის გარეშე, ყურის ნიჟარა ფორმას არ იცვლის, იმ პირს კი, ვინც ახლა თავს სწორედ ამ ბავშვად ასაღებდა, პატარა, ლამის, კეფაზე მიკრული ყურები ჰქონდა. სამართალდამცავებმა უხმოდ დატოვეს მასპინძლის სახლი, სურათიც წაიღეს, ასევე, უხმაუროდ დააკავეს მარტოხელა კაცი და თბილისისკენ წამოვიდნენ. დაკავებულს ზედ ეწერა იმედგაცრუება და როცა თბილისში თითის ანაბეჭდები აუღეს, ჩუმად იკითხა – „რა შემეშალა?“

დაკავებული საკავშირო მასშტაბით ძებნილი აღმოჩნდა, პირი, რომელსაც ორი ადამიანის მკვლელობისთვის ეძებდნენ და რომელმაც რვა წლის წინ, ციხიდან გაქცევა მოახერხა. როცა მისი ვინაობა გაირკვა და კარტოთეკიდან ამოღებული სურათი დაუდეს, დაკავებულმა უხეიროდ გაიღიმა, დამალვას რაღა აზრი აქვსო და დაიწყო:

„ეს ბიჭი, ვისი სახელი და გვარიც მოვირგე, ჩემთან ერთად იჯდა. მოჰყვა თავის ისტორიას, იმასაც ამბობდა, რომ გამოვალ, სოფელში უნდა დავბრუნდე, მამა-პაპისეულ სახლს მივხედოო. მერე ზონაზე ჩხუბი მოხდა და ის უბედური შემთხვევით დანას წამოაგეს, მოკვდა. მერე მე გავიქეცი და არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. გამახსენდა ეს ისტორია, ვიფიქრე, საქართველოში ჩავალ, ერთი წელი იმ სახლში ვიცხოვრებ, ვინ მიცნობდა? ჩამოვედი, აქაურობა მომეწონა და შემოვრჩი. ახალი საბუთები რუსეთში გავაკეთე, არაა ეგ პრობლემა. მერე ეს გოგო გამოჩნდა, მწველავი და სავარაუდოდ, მიცნო. ასე ვიფიქრე, რომ მიცნო, რადგან მუდმივად სურათებს მიღებდა, გადაიღებდა, წავიდოდა, მეორე დღეს ისევ მოდიოდა. მარტო მე კი არა, სახლსაც უღებდა, ფანჯრიდან ვხედავდი ხოლმე. ამიტომ გადავწყვიტე მისი მოშორება და მოვიშორე კიდეც. კატას რაც შეეხება, მეზობლის კატა ხშირად მოდიოდა და კალთაში მეჯდა ხოლმე“...

როცა დაკავებულმა გაიგო, რისთვის იღებდა გოგონა სურათებს, გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა და ხელი ჩაიქნია, შიშს დიდი თვალები აქვს, ყველა და ყველაფერი საეჭვოდ მეჩვენებოდაო...

ბათო ჯაფარიძე

სამწუხაროდ, სიმსივნე დღემდე დაუძლეველ სენად რჩება და ექიმთა მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით, ვერ შეიქმნა პრეპარატი, რომელიც ამ ვერაგ დაავადებას სრულად დაამარცხებს. დღემდე არაერთი მეცნიერი მუშაობს კიბოს უჯრედების საწინააღმდეგო პრეპარატზე, თუმცა უშედეგოდ. ეს მუშაობა გუშინ და დღეს არ დაწყებულა, ათწლეულებია, მეცნიერები სიმსივნურ წარმონაქმნებს იკვლევენ, თესავენ, სხვადასხვა ცდას ატარებენ, როგორც ცხოველებზე, ისე – ადამიანებზე. მილიონობით ადამიანი თანახმაა, ახალი პრეპარატი საკუთრ თავზე გამოსცადოს იმის იმედად, რომ იქნებ, ეშველოს, იქნებ, გადარჩეს. არის შემთხვევები, როცა ექიმები არ ეუბნებიან პაციენტს, რომ ექსპერიმენტს ატარებენ და უკეთებენ ან ასმევენ წამალს, რომელსაც სერტიფიკატი არ აქვს. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება, თუმცა ხშირად, დამტკიცება ჭირს, რადგან როცა პაციენტმა არაფერი იცის, მოულოდნელად გარდაიცვლება, შემდეგ ხდება მისი გაკვეთა (ესეც თუ ოჯახის წევრები მოისურვებენ) და მერე იწყება ძიება, მაგრამ ექიმები ამტკიცებენ, რომ მათ პაციენტის ზეპირი თანხმობა ჰქონდათ და ოფიციალური ხელშეკრულება მხოლოდ იმიტომ არ გააფორმეს, რომ ოჯახის წევრებს არ ენერვიულათ.

ქუთაისის სასაფლაოზე ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

პანსიონატი, სადაც აკრძალულ პრეპარატებს სიმსივნით დაავადებულებზე ცდიან

„დანაშაული, რომელიც ქუთაისში მოხდა, ერთი შეხედვით, ბანალურად დაიწყო და არაფერი მოასწავებდა იმას, რომ საქმე ასე ჩაიხლართებოდა. ღამით, ქუთაისის ერთ-ერთ სასაფლაოზე, ახალგაზრდა ბიჭის ცხედარი იპოვეს. ადგილობრივი ბიჭები ძმაკაცის საფლავზე ავიდნენ, შესანდობარი უნდა ეთქვათ და გვამს შემთხვევით გადააწყდნენ. თბილისიდან ამ საქმეზე არავინ წავიდოდა, მაგრამ ყველაფერი გარდაცვლილის ვინაობამ შეცვალა. ის რეგიონის ერთ-ერთი გავლენიანი ჩინოსნის ერთადერთი შვილი იყო. მან პირდაპირ მინისტრს დაურეკა და პირადად სთხოვა, ჩემი შვილის მკვლელობა აუცილებლად უნდა გამოიძიონო. ასე აღმოვჩნდი ქუთაისში“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ახალგაზრდა მამაკაცს დანით ჭრილობა გულის არეში ეტყობოდა, მაგრამ ექსპერტებმა მაშინვე თქვეს, ეს კაცი სხვაგან მოკლეს და გვამი აქ შემდეგ მოიტანესო. თბილისიდან ჩასული გამომძიებლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მამიკოს ფულით გათამამებული ბიჭი იყო გარდაცვლილი, ვიღაც ეყოლებოდა გამწარებული და არ აცოცხლეს, მაგრამ როცა მისი მეგობრები დაკითხეს, გაოცებულნი დარჩნენ. ბიჭი მუშაობდა, მუშაობდა ფიზიკურად და მამას ფულს უბრალოდ არ ართმევდა. მეზობლებიც ამბობდნენ, მოკრძალებულად, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობდაო. მეტიც, როგორც გაირკვა, სამსახურიდან თავისუფალ დროს, მოხუცებს ეხმარებოდა, ბოლო ორი თვის განმავლობაში კი მთლიანად სიმსივნით დაავადებულ ადამიანებზე გადაერთო და მათ ეხმარებოდა. ეხმარებოდა კი არა, თეთრ ხალათსაც მოირგებდა ხოლმე და მათ უკან დასდევდა. პანსიონატი, რომელიც თითქოს კერძოდ იყო გახსნილი, სიმსივნით დაავადებულთათვის ერთგვარი შვება იყო, ერთმანეთს ხვდებოდნენ, ამხნევებდნენ, ექიმზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ.

„ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ცუდი სახელი არც მამამისს ჰქონდა. დიდი ფულის მიუხედავად, ბევრს ეხმარებოდა, სერიოზულ ქველმოქმედებასაც ეწეოდა და რაც მთავარია, ზუსტად მის ხარჯზე ფუნქციონირებდა დაავადებულთა პანსიონატი, სადაც მისი შვილი მოხალისედ მუშაობდა და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავს არ ზოგავდა. მამაც დავკითხეთ, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა მოეკლა მისი ერთადერთი შვილი, რადგან იმის მიუხედავად, რომ ბიჭი ფულს არ ართმევდა, მამამისს მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდა, იცოდა, ვისთან მეგობრობდა, სად იყო, რით სუნთქავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყოველი შემთხვევისთვის, გამომძიებლებმა სტაციონარის პაციენტებიც შეამოწმეს და ერთი საინტერესო დეტალი აღმოაჩინეს. თუ ისინი კვდებოდნენ, კვდებოდნენ ერთად ანუ ერთი-მეორის მიყოლებით, მაგალითად, ერთ კვირის განმავლობაშ, 3-4 პაციენტი კვდებოდა, შემდეგ დრო გადიოდა, თვეებიც შეიძლება გასულიყო და მერე ისევ, ერთკვირიანი ინტერვალით, რამდენიმე ადამიანი მიდიოდა საიქიოს. ძალოვნებს ყველაფერი ეს საეჭვოდ ეჩვენათ და ექსპერტიზის დასკვნები მოითხოვეს, თუმცა მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო ექსპერტიზა გაკეთებული, დანარჩენებზე ოჯახის წევრებმა გაკვეთა არ ისურვეს. იმ ორ შემთხვევაში, გარდაცვალების მიზეზად სიმსივნური გართულება იყო დასახელებული, თუმცა ორივე შემთხვევაში, სხვადასხვა ექსპერტს ეწერა, რომ სისხლში ამოუცნობი პრეპარატის კვალი ნახეს, თუმცა ამას არავინ გამოჰკიდებია, რადგან მთავარ მიზეზად, სწორედ დაავადების გართულება იყო დასახლებული.

ნებისმიერ საქმესა თუ შემთხვევაში, როცა ამოუცნობ ფეთქებად ნივთიერებას ან ამოუცნობი წამლის შემადგენლობას აღმოაჩენდნენ მილიციის თანამშრომლები, ვალდებულები იყვნენ, ყველაფერი უშიშროების კომიტეტისთვის ეცნობებინათ და ასე მოხდა ამჯერადაც. ძლევამოსილი „კა გე ბე“-ს თანამშრომლები ქუთაისში მალე ჩავიდნენ და... ეგსგუმაცია ოჯახის წევრების თანხმობის გარეშე მოხდა. უფრო სწორედ, მათ არც არაფერი შეატყობინეს, გვამები ამოთხარეს, ნიმუშები აიღეს და ისევ დამარხეს. ნაწილი გამოსაკვლევად თბილისში გადმოიტანეს, ნაწილი კი მოსკოვში წაიღეს. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილები იღებდნენ პრეპარატს, რომელიც საბჭოთა კავშირის არცერთ რესპუბლიკაში არ იყო გაყიდვაში, თუმცა იყო საზღვარგარეთ და ექსპერიმენტების სახით, მას სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფებზე იყენებდნენ. ყველაფერი ეს, სწორედ უშიშროებამ გამოიკვლია.

ახლა ის იყო საინტერესო, ვის შემოჰქონდა აღნიშნული პრეპარატი და რაც მთავარია, ვინ აძლევდა პაციენტებს. პანსიონატის მთავარი ექიმის გარეშე, წესით, ეს არ უნდა მომხდარიყო და ამიტომ, მისი თვალთვალი დაიწყეს. საეჭვო პირებს ის არ ხვდებოდა, სამსახურეობრივი საქმის გამო, რამდენჯერმე, გარდაცვლილი ბიჭის მამას შეხვდა, საუბრის მოსმენაც კი მოხერხდა, მაგრამ ისინი ძირითადად პენსიონატის დაფინანსებაზე საუბრობდნენ, რაც ლოგიკური იყო. მალე ისიც გაირკვა, რომ მთავარ ექიმს სიმსივნით დაავადებული დედა ჰყავდა, მაგრამ მას სახლში მკურნალობდა და პანსიონატში არ მიჰყავდა. არადა, იქ ყველა პირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ ემკურნალათ. რაც მთავარია, ექიმი სახლზე მეტ დროს, სწორედ პანსიონატში ატარებდა და შესაბამისად, დედამისს ბევრად უკეთ მოუვლიდა.

„გადავწყვიტეთ, დედამისის სისხლი აგვეღო და ექსპერტიზა ჩაგვეტარებინა, თუ მის სისხლში ამოუცნობი პრეპარატი აღმოჩნდებოდა, გამოვიდოდა, რომ საქმეში ექიმიც გარეული იყო და მის ალაპარაკებას ბევრი დრო არ დასჭირდებოდა. როცა ის შინ არ იყო და დედა მარტო გახლდათ, ჩვენი თანამშრომლები ექიმებთან ერთად მივიდნენ და მოხუცს უთხრეს, სისხლი უნდა აგიღოთ დამატებითი კვლევისთვის, სახელმწიფო პროგრამაო. მას ეჭვი არაფერში შეპარვია, ისე ჩააბარა სისხლი და მეორე დღეს, ექიმის დასაკავებლად წავედით – დედამისის სისხლში ამოუცნობი პრეპარატის შემადგენლობა იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექიმმა დაკავებისთანავე თქვა, მოკვლა არ მინდოდა, შემომაკვდაო და გამომძიებლებმა შვებით ამოისუნთქეს. საქმე გახსნილი იყო, თუმცა საინტერესო გახლდათ, რისთვის გაიმეტა მან ბიჭი, რომლის მამაც პანსიონატს აფინანსებდა.

„მე აქაური არ ვარ, შესაბამისად, აქაურებს არ ვიცნობ. მხოლოდ სახლი და სამსახური, თვისუფალი დრო არ მაქვს. ამ პანსიონატში მას შემდეგ გადმოვედი, რაც მისი დამფინანსებლისგან მივიღე წინადადება, რომ ექსპერიმენტული წამლები გამომეცადა. დედა მყავს ავად და ვიფიქრე, მასაც ვუშველიდი, ამიტომ აქ გადმოვედი. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა უცხოურ პრეპარატებს ვხმარობთ, მაგრამ უშედეგოდ. გარდაცვალების შემთხვევებიც ერთდროულად სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ კონკრეტულ ჯგუფზე ვცდიდით წამლებს, ერთკვირიანი ინტერვალით, თოთოეულ მათგანს უკუჩვენების გამოვლინება ეწყებოდა და ყველაფერი ეს სიკვდილით სრულდებოდა. ბოლო პრეპარატი, რომელსაც დედაჩემსაც ვუკეთებდი, თითქოს, ყველაზე იმედისმომცემი იყო, მაგრამ იმ ბიჭის გამოჩენის შემდეგ, ყველაფერი თავდაყირა დადგა. არ ვიცოდი, ვისი შვილი იყო, მამამისსაც არ უთქვამს, როგორც მერე ამიხსნა, არ უნდოდა, რომ მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიები მიმენიჭებინა. ჰოდა, იმ ბიჭსაც სწორედ ეს ჯგუფური გარდაცვალებები მეოჩვენა უცნაურად, ქექვა დაიწყო და აკრძალულ პრეპარატებს ექთნების ოთახში, სეიფში მიაგნო. ჩემი ბრალია, მე დამრჩა სეიფი ღია. ჩემთან მოვიდა, მითხრა, ვიღაც საცდელი ვირთხებივით იყენებს ავადმყოფებს, რომელიღაც ექთანია საქმეში გარეულიო. ვუთხარი, რომ ყველაფერში გავერკვეოდი და დამფინანსებელს ანუ მამამისს დავურეკე. კარგად არც მომისმინა, ვუთხარი, ერთ-ერთი თანამშრომელი მიხვდა ყველაფერს მეთქი და უხეშად მომიგდო, თავიდან მოიშორეო. ახლა ვფიქრობ და ვხვდები, რომ თავიდან მოშორებაში სამსახურიდან გაშვება იგულისხმა. მე კი... სახლში დავიბარე ბიჭი და შევეცადე, ყველაფერი ამეხსნა, ის კი მილიციაში წასვლას აპირებდა, კარგი დღე არ დაგადგებაო. არ მახსოვს, როგორ ავიღე დანა და დავარტყი, მაშინ მხოლოდ დედაჩემზე და იმაზე ვფიქრობდი, რომ ჩემი დაჭერის შემთხვევაში, მას სწრაფი სიკვდილი ელოდა. მერე გვამი სასაფლაოზე წავიღე და მეორე დღეს გავიგე, ვისი შვილი მოვკალი“, – თქვა დაკავებულმა.

როცა გარდაცვლილის მამამ მკვლელის ვინაობა გაიგო, გულის შეტევა დაემართა, თუმცა გადარჩა. მასაც და ექიმსაც სასამართლო ელოდათ, მაგრამ ორივე მოსკოვში წაიყვანეს – ჩინოვნიკი იმისთვის, რომ გაერკვიათ, ვინ აწვდიდა წამლებს საზღვარგარეთიდან, ექიმი კი იმისთვის, რომ სრული ანგარიში შეედგინა, როგორ იმოქმედა სხვადასხვა პრეპარატმა სიმსივნით დაავადებულ ადამიანებზე.

კახეთისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავთ

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად პოლიციის პოლკოვნიკი, თეიმურაზ კალანდაძე დაინიშნა. ამ დრომდე, მას შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ეკავა. შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად კი პოლიციის პოლკოვნიკი, ვალერი თელია დაინიშნა, რომელიც მანამდე, აღნიშნული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იყო.

თეიმურაზ კალანდაძესა და ვალერი თელიას სამართალდამცავ სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. სხვადასხვა წლებში, მათ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში, ხელმძღვანელის პოზიციები ეკავათ.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა.

აღნიშნული უფლება ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღო.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის სასწავლო ცენტრს, დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს, ქოლ-ცენტრის ოპერატორების გადამზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციებს.

2020-2021 წლებში, პანდემიიდან გამომდინარე, ძირითადი დატვირთვა ქოლ-ცენტრებსა და მომსახურების ცენტრებზე განხორციელდა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და უმოკლეს დროში მოახერხა ახალ გარემოებებთან ადაპტირება.

„112“-ის მიზანია, სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სახელმწიფო თუ კერძო კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი რესურსის გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლებით.

პროგრამაზე განაცხადის შემოტანა შეუძლიათ, როგორც სახელმწიფო სექტორის უწყებებს და კერძო კომპანიებს, ასევე, უშუალოდ ქოლ-ცენტრებში დასაქმების მსურველ კერძო პირებს. ტრენინგის დასრულების შემდგომ, მსმენელებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები გადაეცემათ.

პროგრამას განახორციელებენ „112“-ის სასწავლო ცენტრის ტრენერები. „112“-ის სასწავლო ცენტრი 2015 წელს შეიქმნა და დღემდე 8000-მდე პირი გადამზადდა, მათ შორის, მომიჯნავე სამსახურების წარმომადგენლები.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://112.gov.ge/wp-content/uploads/2022/09/shetavazeba-1.pdf

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს პოლიციის პოლკოვნიკი თეიმურაზ კუპატაძე უხელმძღვანელებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად პოლიციის პოლკოვნიკი, თეიმურაზ კუპატაძე დაინიშნა. ამ დრომდე, მას თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ახალ თანამდებობაზე მან მამუკა ჭელიძე შეცვალა.

თეიმურაზ კუპატაძეს შინაგან საქმეთა სამინისტროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა წლებში, ის სამინისტროში არაერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

პოლიციამ ქუთაისში „საქართველოს ბანკის“ ფილიალზე თავდასხმის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქუთაისში, „საქართველოს ბანკის“ ერთ-ერთ ფილიალზე თავდასხმის, ტერორისტული აქტის, ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავა.

ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ შეიარაღებული პირი ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში შეიჭრა და დიდი ოდენობით თანხის დაუფლების მიზნით, 14 პირი მძევლად აიყვანა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მძევლად აყვანილი ყველა ადამიანი ეტაპობრივად გაათავისუფლა, რის შემდეგაც სამართალდამცველებმა თავდამსხმელი ბრალდებულის სახით ადგილზე დააკავეს. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მესტიაში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს, დაკავებულია ოთხი პირი.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1986 წელს დაბადებული ლ.მ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ი. დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 12 ვაზნა ამოიღეს.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1983 წელს დაბადებული ი.ბ. ახალქალაქში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი და ავტომობილის ჩხრეკისას ცეცხსასროლი იარაღი, მჭიდი და 11 ვაზნა ამოიღო. გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.კ., ჩოხატაურში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. პოლიციის მიერ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია: მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 8 ვაზნა.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

სამართალდამცველებმა ბათუმის აეროპორტში 11 კილოგრამზე მეტი მარიხუანა ამოიღეს – დაკავებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ნ.დ., ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვასა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანაში ედება.

დანაშაულები 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.დ.-მ საქართველოში ნარკოტიკული საშუალება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან შემოიტანა.

სამართალდამცველებმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში, ბრალდებულის ბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში წინასწარ მოწყობილი სამალავიდან, 11 კილო და 200 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 273-ე პრიმა მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას, ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანას უკანონო შეძენა-შენახვასა და გადაზიდვას გულისხმობს.

საქართველო პირველია – წინ მარტი და პლეი-ოფი გველის

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ჯგუფური ეტაპი დაასრულა. ჩვენმა გუნდმა გიბრალტარში 2:1 მოიგო და თუ ვინმეს თამაშის ხარისხი არ მოეწონა, შევახსენებთ, რომ მატჩი ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა და ასეთ მოედანზე ტრავმის მიღების შანსი ძალიან დიდია. აკი, დაგვემტვრა კიდეც გიორგი ლორია და მეორე ტაიმში, ის გიორგი მამარდაშვილმა ჩაანაცვლა. დასრულდა ეს ეტაპი და დასრულდა ისე, როგორც, ალბათ, ვერავინ იფიქრებდა, რადგან არა მარტო ჯგუფში, არამედ C დივიზიონში, საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ და პირველი ადგილი დავიკავეთ. რას ნიშნავს ეს? ყველაზე მთავარი სწორედ ახლა იწყება.

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ვითამაშოთ, ორად ორი შეხვედრის მოგება გვინდა. C დივიზიონიდან პლეი-ოფში, ჩვენს გარდა, თურქეთი, საბერძნეთი და ყაზახეთი გავიდნენ. ჩვენი მეტოქე საბერძნეთი ან ყაზახეთი იქნება (უდიდესი ალბათობით, ეს უკანასკნელი) და იმის გამო, რომ C დივიზიონში საუკეთესო შედეგი გვაქვს, ½-ფინალის ერთმატჩიან დაპირისპირებას საკუთარ კედლებში გავმართავთ ანუ ყაზახეთს ან საბერძნეთს თბილისში ვუმასპინძლებთ. მეორე ფინალური წყვილი, მეორე ½-ფინალიდან გამოვლინდება და რომელი ნაკრების მოედანზე გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრა, ამას უკვე კენჭისყრა გაარკვევს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, ორი მატჩის მოგება გვჭირდება და ამის გაკეთება ეროვნული გუნდის ამ შემადგენლობას შეუძლია. C დივიზიონში პირველობის გარდა, ბომბარდირობა, 5 გატანილი გოლით, არავის დაუთმო ხვიჩა კვარაცხელიამ, რაც ასევე გამოსარჩევი ამბავია. ჩვენმა ნაკრებმა სულ 16 გოლი გაიტანა და თითქმის მესამედი კვარაზე მოდის.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე არასდროს უთამაშია. ყველაზე რეალური შანსი ორიოდე წლის წინ გვქონდა, როცა საამისოდ მაკედონიის შინ დამარცხება იყო საჭირო, მაგრამ მაშინ მაკედონიელებმა „დინამო არენაზე“ მინიმალური ანგარიშით მოგვიგეს და ევროპაზე თავად (მათაც პირველად) ითამაშეს. ევროპისკენ სავალ გზაზე კი ახლა 3 ნაკრებია – ყაზახეთი, საბერძნეთი და თურქეთი. ამ სამიდან, ორის დამარცხება მოგვიწევს და ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ.

რატომ დატოვა რეალურად მესიმ „ბარსელონა“? – კატალონიელებმა სიმართლე თქვეს

იმის მიუხედავად, რომ ლამის ორი წელი გავიდა, რაც ლიონელ მესი „ბარსელონადან“ „პსჟ“-ში გადაბარგდა, კატალონიელმა გულშემატკივარმა მაინც ვერ მოინელა მისი გაშვება და კლუბის ხელმძღვანელობას დღემდე აკრიტიკებს. როგორც ჩანს, „ბარსას“ შეფების მოთმინების ფიალა აივსო და ოფიციალური განცხადება გააკეთეს, თუ რა გახდა არგენტინელის გაშვების რეალური მიზეზი. კლუბმა გამოაქვეყნა იმ მოთხოვნების ჩამონათვალი, რომელიც ლეოს ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ სურდა. მაშ, ასე:

პირველ რიგში, 2023 წლამდე, მესი სამწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვდა. მოთხოვნებში იყო პირადი VIP-ლოჟა „ნოუზე კამპზე“, თავისი ოჯახისთვის და ასევე, მისი ყოფილი თანაგუნდელისა და მეგობრისთვის, ლუის სუარესისთვის. მესი ითხოვდა 10 მილიონი ევროს ოდენობის ბონუსს კონტრაქტზე ხელმოწერისთვის ანუ ეს თანხა კლუბს უბრალოდ უნდა ეჩუქებინა. ლეოს სურდა, რომ ახალ კონტრაქტში მისი გამოსასყიდი თანხა არ ყოფილი ასტრონომიული, არამედ, სიმბოლური და რეალური. კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, ხელფასის შემცირებაზე თანახმა იყო, მაგრამ მოგვიანებით, დანაკლისის ანაზღაურებას 3%-იანი დანამატით ითხოვდა. გარდა ამ ყველაფრისა, მესის სურდა, რომ შობის დღესასწაულისთვის, „ბარსელონას“ მისთვის პირადი თვითმფრინავი დაეფინანსებინა არგენტინაში წასასვლელად და წამოსასვლელად. და ერთიც – მისი მოთხოვნა იყო, რომ გადასახადების გაზრდის შემთხვევაში, ყველა დამატებითი ხარჯი „ბარსელონას“ დაეფარა.

გაგიკვირდებათ და, კლუბი მზად იყო, ეს მოთხოვნები შეესრულებინა, მხოლოდ ორი პუნქტის შეცვლას ითხოვდა – კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა უნდა ყოფილიყო ის, რასაც კლუბი გადაწყვეტდა და ლეოს უარი უნდა ეთქვა 10-მილიონიან ბონუსზე ანუ მხოლოდ ხელმოწერის სანაცვლოდ, 10 მილიონის გადახდა კლუბს არ უნდოდა. ლეოს აგენტები გაჯიუტდნენ და ბოლოს, როცა „ბარსას“ შეფები ფეხბურთელს პირადად ესაუბრნენ, მან დაადასტურა, რომ არაფრის დათმობას არ აპირებდა. საბოლოოდ, შეთანხმება სწორედ ამ ორი პუნქტის გამო ვერ შედგა და ახლა ვინ არის მართალი, თავად გადაწყვიტეთ.

რატომ არის პრემიერლიგა უძლიერესი

ფეხბურთის გულშემატკივრები თანხმდებიან, რომ ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს ინგლისის პრემიერლიგის კლუბები თამაშობენ და რაც მთავარია, უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად, გუნდები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავს იკლავენ. მეტიც, ინგლისურ კლუბებში ფეხბურთელების ჯამაგირი ბევრად მეტია, ვიდრე, იგივე, იტალიაში, ესპანეთსა და გერმანიაში. თანაც, ამ ჩემპიონატების საშუალო დონის კლუბები რომ შევადაროთ, ფეხბურთელების ხელფასებში ძალიან, ძალიან დიდი სხვაობაა.

ეს ყველფერი კი იმიტომ ხდება, რომ იქ არარეალურად დიდი ფული ტრიალებს. მაგალითად, გასულ სეზონში, ჩემპიონის ტიტულისთვის, „მანჩესტერ სიტიმ“ 153.8 მილიონი ფუნტი მიიღო, მეორე ადგილზე გასულ „ლივერპულს“ 151.8 მილიონი ერგო, მესამეადგილოსან „ჩელსის“ – 145.6 მილიონი.

ამის ფონზე, ალბათ, საინტერესოა, რამდენი მიიღო ბოლო ადგილზე გასულმა და შესაბამისად, პრემიერლიგიდან გავარდნილმა „ნორვიჩმა“? გუნდმა, რომელმაც 38 მატჩიდან მხოლოდ 5 მოიგო და სეზონში 84 გოლი გაუშვა, 100 მილიონი ფუნტი ერგო ანუ იმაზე ათჯერ მეტი, ვიდრე... საქართველოს უმაღლესი კლუბების ბიუჯეტია ერთად აღებული.

როჯერის ეპოქა დასრულდა – ფედერერი ჩობურთიდან წავიდა

ლეივერის თასის გათამაშება, ერთი შეხედვით, რიგითი ტურნირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის საჩოგბურთო სამყაროს ყურადღების ცენტრში იმის გამო მოექცა, რომ აღნიშნული შეჯიბრი ლეგენდარული ჩოგბურთელისთვის, როჯერ ფედერერისთვის კარიერაში ბოლო იყო. შვეიცარიელმა თქვა, რომ მომავალში, შესაძლოა, წყვილთა თანრიგში ითამაშოს, ერთეულებში კი კორტზე აღარ გავა. 8 აგვისტოს, ფედერერი 41 წლის გახდა და მართლაც, წასვლის დრო დაუდგა. ლეივერის თასზეც წყვილთა თანრიგში გამოვიდა, მეწყვილედ კი კორტზე საუკეთესო მეტოქე და საუკეთესო მეგობარი, რაფაელ ნადალი ჰყავდა. მართალია, ნადალი-ფედერერის წყვილმა ფინალი დათმო, მაგრამ ეს იმ ემოციური ფონის ბრალი იყო, რომელიც ფინალის წინ შეიქმნა. შეხვედრის მსვლელობისას, ტიროდა ფედერერი, ტიროდა ნადალი და ტიროდა იქვე, სკამზე მყოფი კიდევ ერთი ლეგენდა, ნოვაკ ჯოკოვიჩი. ამიტომ, შვეიცარიელს კარიერაში 104-ე ტიტულის მოგება არ გამოუვიდა, მაგრამ 103 მოგებული აქვს და მათ შორის, ექვსჯერ ავსტრალიის ღია პირველობა, ერთხელ საფრანგეთის როლან გაროსი, რვაჯერ უიმბლდონის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი და ხუთჯერ ამერიკის ღია პირველობა. 2008 წელს, ფედერერი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

რა დასრულდა როჯერის წასვლით? დავიწყოთ იმით, რომ ფედერერი ყველაზე დიდხანს, 310 კვირის განმავლობაში იყო პირველი ჩოგანი (აქედან 237 კვირა უწყვეტად ლიდერობდა მსოფლიო რეიტინგს), 2018 წელს, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, 36 წლის ასაკში გახდა მსოფლიო რეიტინგის პირველი ჩოგანი და... დღემდე ყველაზე ასაკოვან ჩოგბურთელად ითვლება, ვინც მსოფლიო სიას სათავეში მოექცა. მას რვაჯერ ანუ ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული მსოფლიოს მასშტაბით პრესტიჟული, უიმბლდონის ღია პირველობა, ასევე, ყველაზე მეტჯერ, ექვსჯერ მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი და ზოგადად, ფედერერი არაერთ სპეციალისტსა თუ გულშემატკივარს, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მიაჩნია.

„მადლობა ყველას, ყველაფრისთვის, განსაკუთრებით, ჩემს მეუღლეს, მირკას, რომელსაც დიდი ხნის წინ შეეძლო ჩემთვის ეთქვა, რომ წასვლისა და ოჯახისთვის მეტი ყურადღების დათმობის დროა, მაგრამ ის ბოლომდე გვერდში მედგა. ბედნიერი ვარ იმით, რომ ხართ თქვენ, ჩემი გულშემატკივრები და მეგობრები, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში მაძლევდით ძალას, თასმა შემეკრა და კორტზე გამოვსულიყავი“, – განაცხადა ფედერერმა.

კარიერის განმავლობაში, ყველა ტურნირზე ფედერერის მიერ მოგებულმა თანხამ 130 594 339 დოლარი შეადგინა, თუმცა მისი ქონება 700 მილიონ დოლარადაა შეფასებული, რადგან ბევრად მეტი, როჯერმა სარეკლამო კონტრაქტებიდან იშოვა.

ნუციკოს დელფინი

(ზღაპარი, რომელიც პატარებს გაახარებს, დიდებს კი ჩააფიქრებს)

ოთარ გაგუა

თუ გინდა ბათუმზე, მის შემოგარენზე, სრული წარმოდგენა შეიქმნა, დატკბე მისი მშვენიერებით, ბუნებისა და ადამიანის ფანტაზიით შექმნილ საოცრებას – ბოტანიკურ ბაღს უნდა ეწვიო.

ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, ნამდვილად გაგიმართლა-მეთქი. პატარა ხის სახლი, სადაც ვცხოვრობ და მალე ბაღთან ერთად, ასწლიან იუბილეს იზეიმებს, „ავსტრალიაში“, მაღლობზე, უზარმაზარი ევკალიპტების, სხვადასხვა სახეობის პალმების, კალისტემონების, მიმოზების გარემოცვაში დგას და გადასცქერის მის წინ გადაშლილ ბამბუკის ტევრსა და ზღვას.

„ავსტრალია?!“ ნურც ეს გაგიკვირდებათ! ბაღი, ხომ კონტინენტური პრინციპითაა გაშენებული, მსოფლიოს თითქმის მთელი მცენარეული საფარია წარმოდგენილი და სახელებიც ამის მიხედვითაა შერჩეული.

სილამაზის ტრფიალ კაცს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია დატკბეს იმ მსუყე, განუმეორებელი ფერთა გამით, რომლის შექმნა მხოლოდ ხელოვანთა ხელოვანს – ბუნებას ძალუძს. და მაინც, განსაკუთრებული სანახაობა იშლება მაშინ, როცა მზე ზღვაში იძირება და მისი უკანასკნელი სხივები ნაპირისკენ დაძრულ ნისლს წითლად ღებავს!..

სწორედ ამ საოცრების მხილველმა, ჩემმა შვილთაშვილმა ნუციკომ, შეშინებულმა საშველად მიხმო! – ბაბუ! ბაბუ! ჩქარა, ჩქარა, ზღვა იწვის!

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, როგორ ამეხსნა ოთხი წლის გოგონასთვის ბუნების ეს მოვლენა და დასამშვიდებლად ვეუბნები:

– ნუ გეშინია, ხომ ხედავ, ირგვლივ რამდენი წყალია, ჰოდა, ცეცხლიც მალევე ჩაქრება. და მართლაც, ცეცხლის ენები, დასალიერზე ზეცას რომ ლოკავდნენ, თანდათან გაფერმკრთალდნენ და გაუჩინარდნენ...

– ნუციკოს ძილის დროა, ხელ-პირი დავიბანოთ და დასაწოლად გავემზადოთ! ეს ბებიას ბრძანებაა, რომელსაც უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ, მაგრამ მანამდე ნუციკო მაფრთხილებს:

– ბაბუ, ზღაპარი უნდა მომიყვე, ოღონდ ისეთი, რომ არავინ მოკვდეს!.. თანხმობის ნიშნად, მორჩილად თავს ვხრი, მაგრამ ნუციკოს მოთხოვნის შესაფერისს ვერაფერს ვპოულობ... და აი, აქ მახსენდება ის ამბავი, რომლის მოწმეც, ორიოდე დღის წინ, თავად გავხდი...

ამ დღეს საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მცდელობით, ბაღში ჯვარი აღვმართეთ. ამას ისიც დაემატა, რომ ფონდის სულისჩამდგმელთა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ჩემს მეგობარ ადიკო ივანიშვილს, შვილიშვილი ცისია შეეძინა. როგორც ხედავთ, საბაბი და განწყობა მართლაც რომ საზეიმო იყო. ჩვენს მცირე პურობასა და სადღეგრძელოებს, დროდადრო, სატელეფონო საუბრები ავსებდნენ. ნაცნობ-მეგობრები გვესალმებოდნენ, გვილოცავდნენ... მაგრამ ერთ-ერთი ასეთი გასაუბრების შინაარსი ჩემთვის იმდენად მოულოდნელი, იმწამიერად უცნაურიც კი გახლდათ, რომ საზეიმო ეიფორია – აღტყინება უცებ დამიცხრა. ადიკოს უმცროსი ძმა, ბიძინა უკრავდა. მისალმების შემდეგ ჰკითხა: – ის პატარა დელფინი როგორ არის, იმ დღეს „დელფინარიუმში“ რომ გადავიყვანეთო? ძალიან გთხოვ, თვალ-ყური მიადევნე, არაფერი დააკლონ, ვიდრე თავს კარგად არ იგრძნობს, ზღვაში არ დააბრუნონ, რომ მოინახულებ, აუცილებლად დამიკავშირდიო!

როგორც გაირკვა, თურმე, ღელვის დროს, პატარა დელფინი ტალღას ნაპირზე გამოუყვანია, რომ არ დაღუპულიყო, ბატონი ბიძინას დავალებით, „დელფინარიუმში“ გადაუყვანიათ...

არ ვიცი, ვის – როგორ, პირადად მე, ამ ამბავმა სულის სიღრმემდე შემძრა. არ დაგიმალავთ, მას შემდეგ, რაც ეს კაცი საზოგადოების თვალსაწიერში მოექცა, ვცდილობდი, ჩავწვდომოდი მის შინაგან სამყაროს... ის, რომ აშენებს, ეხმარება ადამიანებს, მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა. იმას კი, რისი მოწმეც გავხდი, ვერც ისწავლი და ვერც თავს აიძულებ მსგავსი ნაბიჯის გადასადგმელად, რადგან ამას სწორედ ის ღვთით ნაბოძები ნიჭი სჭირდება, რომლითაც მხოლოდ რჩეულთ აჯილდოვებს განგება.

აბა, ამაზე უკეთესს, რას მოვიგონებდი და გადავწყვიტე, სწორედ ეს „მშვენიერი ზღაპარი“ მეამბნა ჩემი პატარისთვის.

„იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ძალიან, ძალიან კეთილი კაცი, რომელიც სულ იმის მცდელობაში იყო, რა გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის, როგორ დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ხალხს. განსაკუთრებით უყვარდა ბუნება, მისი ბინადარნი.

ერთხელაც, როცა ცა შავი ღრუბლებით დაიფარა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, დუჟმორეული ტალღები ნაპირისაკენ დაიძრნენ, ერთმა ცელქმა დელფინმა არ დაუჯერა დედის რჩევას, ზღვის სიღრმისთვის შეეფარებინათ თავი და წყლის ზედაპირზე გადაწყვიტა ნადირობა. აბობოქრებულმა ტალღებმა არ დააყოვნეს, პატარა უმწეო არსება ნაპირისკენ გააქანეს და ქვაზე დაანარცხეს. საცოდავს ყველაფერი სტკიოდა, სულს ღაფავდა, შველას ითხოვდა, ხსნა კი არსაიდან ჩანდა. სად იყო და სად არა, დასაღუპად განწირულს, კეთილი კაცი გამოეცხადა და პატარა, მის მიერ გაშენებულ „თევზების ჰოსპიტალში“ წაიყვანა, იქ ექიმებმა უმკურნალეს, ჭრილობები მოუშუშეს, დააპურეს და გამოჯანმრთელებული ისევ ზღვაში გაუშვეს“.

ნუციკო ყურადღებით მისმენდა, ის ახლა, იმ პატარა დელფინის ცხოვრებით ცხოვრობს. განიცდის, სტკივა, უხარია... ზღაპრის დამთავრების შემდეგ, მეკითხება:

– ბაბუ, ის პატარა დელფინი ახლა, ალბათ, დედასთან არის, არა? აწი აღარ იცელქებს და ზღვაც არ გამორიყავს!..

– კეთილი კაცი მეც ხომ გადამარჩენს?

– რასაკვირველია.

– დედიკოს, მამიკოს, შენ, ბებიას?

– აბა, როგორ, ყველას! ის ხომ კეთილი კაცია!

– უჰ, რა კარგი ზღაპარია, ხვალ ხომ ისევ მომიყვები?

– აუცილებლად მოგიყვები, ჩემო პატარავ...

უზომოდ ბედნიერი, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ხვალ ისევ შეხვდება ონავარ დელფინს, ტკბილად იძინებს...

მე კი ფიქრებმა ამიყოლია. დღეს, როცა ყოფნა-არყოფნის წინაშე ვდგავართ, ქვეყნის ტერიტორიის მესამედი ოკუპირებულია, როცა ჩვენამდე ასე მტრულად განწყობილ სამეზობლოში რუსულ-კომუნისტურ-ჩეკისტური კრიზისი მძვინვარებს და მომაკვდინებელ კვალს ტოვებს, როცა ადამიანები საკუთარი თავის, ქონების შენარჩუნებაზე ზრუნავენ, მაშინ, როცა მგლური კანონი – „იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია“, კვლავაც ძალაშია, მოწმე ხდები სიკეთისა, რომელიც არა მხოლოდ საკუთარი შვილების, ოჯახის, სიმდიდრის, არამედ, დედამიწაზე „სიცოცხლის“ გადარჩენითაა ნაკარნახევი და ამის შემოქმედი შენი თანამემამულეა, გჯერა და გწამს, ქვეყანას, სადაც ასეთი ამაღლებული, უშურველი სიყვარული იციან, გადაშენება არ უწერია! როგორც სანთელ-საკმეველს, კეთილი კაცის გარჯასაც, თავისი დამფასებელ-გამგრძელებელი გამოუჩნდება და დღეს ზღაპრად ნაამბობი, ხვალ ცხოვრების წესად იქცევა.

ყველაზე ხმამაღალი ტელეფონი წარადგინეს

დაცული სმარტფონების ცნობილმა მწარმოებელმა, კომპანია Ulefone-მ ტელეფონის ახალი მოდელი გამოუშვა, რომელსაც ყველა სხვა სმარტფონის ფონზე, ხმით გამოარჩევთ. მოწყობილობის უკანა მხარე დიდი დინამიკითაა აღჭურვილი, მისი ხმა კი 122 დეციბელს აღწევს. მწარმოებელი აცხადებს, რომ ისტორიაში ეს ყველაზე ხმამაღალი სმარტფონია. აღსანიშნავია, რომ 122 დეციბელი ადამიანის ყურისთვის თითქმის აუტანელია.

არაბმა მამაკაცმა 53-ჯერ იქორწინა

საუდის არაბეთში მცხოვრებმა მამაკაცმა აბუ აბდულამ, 43 წლის განმავლობაში, 53-ჯერ იქორწინა. აბდულა ისეთი ქალის პოვნას ცდილობდა, რომელიც მას სულიერ სიმშვიდეს მიანიჭებდა. 63 წლის აბდულას განცხადებით, როდესაც პირველად იქორწინა, მეტად ცოლის მოყვანას არ აპირებდა. იმ მომენტში თავს კომფორტულად გრძნობდა, ჰყავდა შვილები. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, პრობლემებმა იჩინა თავი და აბდულამ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა დაქორწინება. როცა მის ცოლებს შორისაც უთანხმოება გაჩნდა და ხშირადაც ჩხუბობდნენ, ის ორივეს გაშორდა და სხვა ქალებზე იქორწინა. ასე აგრძელებდა მამაკაცი გაყრას და დაქორწინებას 43 წლის განმავლობაში. ამ არაბს მეტსახელად „საუკუნის მრავალცოლიანიც“ შეარქვეს. მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ შეძლო აბდულამ ისეთი ცოლის პოვნა, რომელთანაც, როგორც იქნა, თავი ბედნიერად იგრძნო. დღესაც სწორედ ამ ქალზეა დაქორწინებული და მეტად „გაყრა-შეყრას“ აღარ აპირებს.

რომელი ყავაა სასარგებლო – ცხელი თუ ცივი?

ამერიკელმა სწავლულებმა, ჯეფერსონის უნივერსიტეტიდან, კვლევები ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ცხელ ყავაში გაცილებით მეტი ოქსიდანტებია, ვიდრე ცივში. ექსპერტები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ყავიდან ყველა „სიკეთის“ მიღება მხოლოდ ნატურალური პროდუქტიდანაა შესაძლებელი. თუ ადამიანს დეპრესიისადმი აქვს მიდრეკილება, ფინჯან ყავას განწყობის გაუმჯობესება შეუძლია. დილიდან ამ ნატურალური სასმელის მიღება არეგულირებს ცირკადულ რიტმებს. ყავის ნებისმიერი ხელოვნური შემცველი კი არც ისე უსაფრთხოა, რადგან მასში საშიში ტოქსიკური ნივთიერებებია. მეცნიერები ყავას ნარკოტიკებსაც ადარებენ. მისი რეგულარული მიღება ააქტიურებს ნერვულ სისტემას და მიჩვევას იწვევს.

ციხეში თემიდას წარმომადგენლები ჩასხდნენ

ბელგიის იუსტიციის სამინისტრომ ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა – 55 პროკურორი და მოსამართლე ბრიუსელის ახალ ციხეში დროებით გამოკეტა, რათა თავი პატიმრებად იგრძნონ და იქ არსებული პირობები გატესტონ. როგორც ვარაუდობენ, ამ ღონისძიების შემდეგ, ისინი უფრო საფუძვლიან განაჩენებს გამოიტანენ. 1200-ადგილიანი ციხე ჯერ არ გახსნილა, ნამდვილი პატიმრები იქ არ არიან. თუმცა, მოსამართლეებისა და პროკურორებისთვისაც რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობებია შექმნილი. ბელგიის ციხეები ევროკავშირში ყველაზე მეტად გადატვირთულია. 2020 წელს, ევროსასამართლომ ქვეყანას 25 პატიმრისთვის 5-5 ათასი ევროს გადახდა დააკისრა, რომლებმაც ციხეში ჰიგიენის წესების დარღვევისა და იქ ფიზიკური აქტივობის არარსებობის გამო იჩივლეს.

ტესტი დაავადების „მყნოსველისგან“

მანჩესტერის უნივერსიტეტის ქიმიკოსებმა პარკინსონის დაავადების დიაგნოსტიკისთვის ტესტი შექმნეს. ამაში მათ ქალბატონი დაეხმარა, რომელიც ავადმყოფობას სხეულის სუნით ამოიცნობს. დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ჯოი მილნმა საკუთარი მეუღლის სხეულის სუნის ცვლილება პარკინსონის დაავადების დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე შენიშნა. როცა ის ამავე სენით დაავადებულ სხვა ადამიანებს გაეცნო, აღმოაჩინა, რომ მათაც იგივენაირი სუნი ჰქონდათ. ჯოისა და მანჩესტერელი სპეციალისტების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა ტესტი პარკინსონის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის. კვლევებისას, სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ამ დაავადების მქონეებს, კანის ცხიმში სპეციფიკური ლიპიდები აქვთ. მათი ვარაუდით, სწორედ მის სუნს გრძნობს ქალბატონი ჯოი პარკინსონის დაავადების მქონე ადამიანებში. ახალი ტესტი ადგენს, აქვს თუ არა კანის ცხომში ეს ლიპიდები ადამიანს. ლაბორატორიულ პირობებში, ტესტის სიზუსტემ 95% შეადგინა.

ბრედ პიტი ქანდაკებებს შეეჭიდა

ჰოლივუდის ვარსკვლავი, ბრედ პიტი ფინეთში ახალ ამპლუაში წარსდგა – აქ მისი, როგორც მოქანდაკის დებიუტი შედგა. CNN-ის ცნობით, ქალაქ ტამპერეში, სარა ჰილდენის ხელოვნების მუზეუმში, მსახიობის ცხრა ქანდაკებაა გამოფენილი. პიტი აქ ჯგუფურ შოუში მონაწილეობს მუსიკოს ნიკ ქეივთან და მხატვარ თომას ჰაუსაგოსთან ერთად. გამოფენაზე მსახიობის პირველი ქანდაკება House A Go Go-ცაა წარდგენილი, რომელიც 2017 წელს შეიქმნა. ექსპოზიცია, სახელწოდებით – „ჩვენ“, მომავალი წლის 15 იანვრამდე გაგრძელდება.

მხედველობას ღორის კანის მეშვეობით აღადგენენ



შვედმა სწავლულებმა, ლინკოპინგის უნივერსიტეტიდან, თვალის რქოვანას იმპლანტი ღორის კანისგან შექმნეს. ადამიანისა და ცხოველის კანში რქოვანას ანალოგიური მოლეკულებია, რის გამოც მკვლევარებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ რქოვანას ქსოვილის ხელოვნური შემცვლელი ღორის კანიდან. ამისთვის მათ ტყავის ნაჭრები იაფი, ნარჩენი პროდუქტისგან აიღეს. სპეციალისტებმა კოლაგენის თავისუფალი მოლეკულების სტაბილიზაციაც შეძლეს, რის შედეგადაც მყარი და გამჭვირვალე მასალა მიიღეს, რომელმაც შეიძლება თვალში იმპლანტაციას გაუძლოს. დონორის რქოვანასგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ორი კვირა ინახება, ბიოინჟინერული რქოვანას გამოყენების ვადა ორი წელია. ახალი მეთოდის ტესტირებაში 20 პაციენტი მონაწილეობდა ირანიდან და ინდოეთიდან. რვაკვირიანი მკურნალობის შედეგად, თავიდან აიცილეს იმპლანტის მოშორება. ოპერაციიდან ორი წლის შემდეგაც კი, არცერთ პაციენტში გართულებები არ გამოვლენილა.

დაბერების მთავარი მიზეზი აღმოაჩინეს

შვეიცარიელმა სპეციალისტებმა, ბერნის უნივერსიტეტიდან, განაცხადეს, რომ ვისცერალური ცხიმი ორგანიზმის დაბერების მთავარი მიზეზია. ეს ცხიმი ადამიანის მუცლის ღრუში მდებარეობს. მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ხელს უწყობს მსუბუქ ქრონიკულ ანთებას. თავის მხრივ, ცხიმი აჩქარებს ასაკობრივ დაავადებებს და ასუსტებს იმუნიტეტს. კერძოდ, საუბარია ლეიკოციტებსა და ეოზინოფილებზე. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სისხლძარღვთა სისტემაში მდებარეობენ, ვისცერალურ ცხიმოვან ქსოვილებშიც აღმოაჩინეს. ასაკთან ერთად, ასეთი უჯრედების რაოდენობა მცირდება, ანთების საწინააღმდეგო მაკროფაგებისა კი – მხოლოდ იზრდება. ამის გამო, წარმოიქმნება დისბალანსი მუცლის ღრუში. ასეთი პროცესის გამო, ორგანიზმი სწრაფად ბერდება. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა ორგანიზმიდან ეოზინოფილების გადანერგვა ამ პროცესს შეაჩერებდა.

პატიმრობის ნაცვლად, ბიბლიოთეკაში იმუშავებენ

იტალიაში ექსპერიმენტს იწყებენ, რომლის დროსაც, ოთხ წლამდე სასჯელმისჯილ პატიმრებს „გამოსწორების შანსს“ მისცემენ და ციხის ნაცვლად, საზოგადოებრივ სამუშაოს დააკისრებენ კულტურულ დაწესებულებებში, როგორებიცაა მუზეუმი და ბიბლიოთეკა. საუბარია ისეთ დამნაშავეებზე, რომლებმაც ზიანი მიაყენეს კულტურულ ღირებულებებს, ან ბრალი დასდეს გულგრილობით ადამიანის სიკვდილში, დაჭრაში, ავტოსაგზაო შემთხვევაში. ახალი იდეის მიხედვით, ეს ადამიანები აანაზღაურებენ იმ ზიანს, რაც საზოგადოებას მიაყენეს. პროგრამაში ჩართულ 52 კულტურულ დაწესებულებას შორისაა კაზერტას სასახლე, ნეაპოლთან ახლოს, ასევე, ბოლონიის ეროვნული პინაკოთეკა, მანტუას ჰერცოგის სასახლე – ჯამში, ამ ექსპერიმენტისთვის, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, 11 მუზეუმი, 5 არქეოლოგიური პარკი, 5 არქივი და 36 ბიბლიოთეკა შეარჩიეს.

ხორცი ვეგანურ რესტორანში?

ინგლისში, სომერსეტის საგრაფოში, ქალაქ ტონტონში მდებარე პოპულარული ვეგანური რესტორანი Mango Tree, კრიზისის გამო, იძულებულია, მენიუში ხორციანი კერძებიც დაამატოს. ჯერჯერობით, დაწესებულება რემონტის გამო დაკეტილია, თუმცა მალე ახალი ფორმატით გაიხსნება. რესტორნის კლიენტები უკმაყოფილოები არიან მფლობელების გადაწყვეტილებით. დაწესებულებაში კი აცხადებენ, რომ ცხოვრების დონის ვარდნის გამო, კლიენტები დაკარგეს, რესტორანში თითქმის აღარავინ დადის და მხოლოდ შეკვეთებზე მუშაობენ. ხორცის გაყიდვა უარესია, ვიდრე რესტორნის დახურვა – ამ სათაურით სოციალურ ქსელებში უამრავი კრიტიკული გამოხმაურება გაჩნდა. დაწესებულების მფლობელები კი აცხადებენ, რომ ასეთი ცვლილება მათ გუნდს სამუშაოს შეუნარჩუნებს.

ავტობუსები გამოძინების მსურველებისთვის

ჰონგ-კონგში მცხოვრებ ადამიანებს, ხშირად, ღამით კარგად გამოსაძინებლად დრო არ ჰყოფნით. ამიერიდან, იქ Ulu Travel-ის ავტობუსები დადიან სწორედ მათთვის, რომლებსაც გზაში გამოძინება სურთ. ტურისტული მარშრუტის სიგრძე 76 კილომეტრია და ამ მანძილს ავტობუსი 5 საათში გადის. ტურის ორგანიზატორების თქმით, ბევრ მგზავრს უყვარს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩათვლემა. როცა ახალი ტურების იდეებს ვამუშავებდით, სოციალურ ქსელში თვალში მოგვხვდა პოსტი, სადაც მომხმარებელი აღნიშნავდა, რომ ღამენათევმა გზაში, ავტობუსში გამოიძინა, – აცხადებენ ავტორები. ორსართულიანი ავტობუსით მგზავრობის საფასური 13-დან 51 დოლარამდეა, იმის მიხედვით, რომელი ადგილის ბილეთს შეიძენთ. ყველა მგზავრს აძლევენ ნიღბებს ძილისთვის. პირველად ახალი ტური, Sleeping Bus Tour, ორი კვირის წინ დატესტეს. ზოგმა კლიენტმა თან პლედი, ჩუსტები და საგზაო ბალიშიც კი წაიღო.

ფიქრებს იმპლანტით გააკონტროლებენ



ამერიკელმა სწავლულებმა, მინესოტას უნივერსიტეტიდან, ტვინის ახალი იმპლანტი შექმნეს, რომელიც აზროვნების პროცესს აკონტროლებს. დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ადამიანს ტვინის კოგნიტური ფუნქციების კონტროლის პრობლემები განუვითარდეს – ფსიქიკური აშლილობა, დეპრესია და სხვა. ეს ნერვული დაავადებები აზროვნების პროცესის შეფერხებას იწვევენ. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ვენტრალური სეგმენტარული უბნების ელექტრული სტიმულაცია, შესაძლოა, პაციენტებს კოგნიტური ფუნქციების გაუმჯობესებაში დაეხმაროს. სისტემა მოკლე ელექტრულ იმპულსებს აგზავნის ტვინის კონკრეტულ უბანზე, მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ექსპერიმენტები სწავლულებმა 12 პაციენტზე ჩაატარეს, რომელთაც ეპილეფსიის სამკურნალოდ, ტვინზე ოპერაცია გაუკეთეს. კვლევის შედეგები დამაიმედებელი აღმოჩნდა. სპეციალისტების თქმით, შეიძლება, ახალი სისტემა მძიმე ფსიქიკური დარღვევების მქონე პირების სამკურნალოდაც გამოიყენონ.

ცოლთან ყოფნას ციხე ამჯობინა

შინაპატიმრობაში მყოფმა ალბანეთის მოქალაქემ პოლიციას თხოვნით მიმართა, ციხეში ჩამსვითო. თავისი უჩვეულო საქციელი მან მეუღლესთან კონფლიქტებით ახსნა, შინაპატიმრობა ჯოჯოხეთად მექცა და მირჩევნია, სასჯელი გისოსებს მიღმა მოვიხადოო. სამართალდამცავების ცნობით, მანმადე, რამდენიმე თვე, მამაკაცმა პირობითი სასჯელი მოიხადა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის, ხოლო ამჯერად, თავისუფლება რამდენიმე წლით აღუკვეთეს.

სუნამო – გახდომის მსურველებისთვის

ფრანგულ პარფიუმერულ ფირმას Robertet, ეკუთვნის მსოფლიოში პირველი სუნამო, რომელიც ადამიანს ჭარბი წონის მოცილებაში დაეხმარება. მას Prends-moi უწოდეს. ახალი პარფიუმის შემქმნელები აცხადებენ, რომ სასიამოვნო სურნელის მქონე არომატი ისეთ ინგრედიენტებს შეიცავს, რომლებიც ადამიანის კანში ენდორფინების წარმოქმნას უწყობენ ხელს. ამ ჰორმონების მეშვეობით, ტვინს „სიამოვნების მესიჯი“ გადაეცემა და შედეგად, ადამიანი ხალისიან განწყობაზე დგება, მადა კი უქვეითდება. გასახდომი კომპლექსი კოფეინის, კარნიტონისა და სპირულინას ნაზავია. ის ორ მთავარ ფერმენტს ააქტიურებს, როლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ლიპოლიზმის (ჭარბი წონის დაქვეითების) პროცესში. ახალი სუნამო ბერგამოტის, მანდარინისა და გრეიფრუტის არომატების ნაზავია. BIO-EC-ის მიერ, 17-დან 70 წლამდე ასაკის ქალებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 75%-ს შეუმცირდა ჭამის მოთხოვნილება, 73%-მა კი ამ სუნამოთი სიამოვნებაც მიიღო. თან არც მისი ფასი აფუჭებს განწყობას – ერთი ფლაკონის ღირებულება, დაახლოებით, 30 გირვანქა სტერლინგია.

საუკეთესო ქვეყანა ქალებისთვის

პლანეტაზე ასეთ ქვეყანად დანია დასახელდა. შესაბამისი რეიტინგი US News & World Report-მა მოამზადა. ასეთი პატივი დანიას იმის გამო ხვდა წილად, რომ აქ გენდერული თანასწორობის პრობლემა თითქმის აღარ არსებობს. სიაში მეორე ადგილს შვედეთი იკავებს, სადაც ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, ხელისუფლება დიდ ძალისხმევას მიმართავს. მესამე საფეხურზეა კანადა, სადაც ქალების უფლებების დაცვა საგარეო და საშინაო პოლიტიკის ნაწილი გახდა. შემდეგ მოდის ნიდერლანდები – ამ ქვეყანაში წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები გენდერული სხვაობის შესამცირებლად ჯანდაცვაში, განათლებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ლიდერთა ხუთეულში შევიდა ავსტრალიაც. ბოლო წლების განმავლობაში, „მწვანე კონტინენტზე“, სუსტი სქესის სულ უფრო მეტი წარმომადგენელი იკავებს ხელმძღვანელ თანამდებობებს, თუმცა იმავდროულად, ავსტრალიელმა ქალებმა წელიწადში 66 დღით მეტი უნდა იშრომონ, რათა იმდენივე გამოიმუშაონ, რამდენსაც მათი კოლეგა-მამაკაცები გამოიმუშავებენ. სტატისტიკის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით, დასაქმებული ქალის ხელფასი წელიწადში, საშუალოდ, 11 ათას დოლარს აღწევს, კაცებისა კი – 21 ათას დოლარს.

ტრანსპორტზე „კლიმატური“ ბილეთი შემოიღეს

ავსტრიაში ერთიანი წლიური სამგზავრო აბონემენტი ამოქმედდა, რომელსაც Klimaticket ქვია. ქვეყნის ხელისუფლების ეს ინიციატივა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისკენაა მიმართული, რადგან ვარაუდობენ, რომ ეს პროექტი კერძო ტრანსპორტიდან გამონაბოლქვს შეამცირებს. ავსტრიის მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ შეიძინონ ეს „კლიმატური“ ბილეთი, რომელსაც ყველანაირ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოიყენებენ, მათ შორის, საქალაქო ტრამვაიში, ავტობუსებსა და კერძო რკინიგზაზეც კი. წლიური აბონემენტის ღირებულება 1095 ევროა. ეს ნიშნავს, ერთი კვირის მგზავრობის საფასური 21 ევროა, ერთი დღის – 3 ევრო. 25 წლამდე ახალგაზრდებისა და პენსიონერებისთვის მოქმედებს ფასდაკლება – ამ კატეგორიის ავსტრიელებისთვის წლიური აბონემენტი 921 ევრო ეღირება. როგორც ექსპერტები ამბობენ, „კლიმატური“ ბილეთის უპირატესობა ისაა, რომ მას ყველა სახეობის ტრანსპორტში გამოიყენებენ და მგზავრებს რამდენიმე ბილეთის ყიდვა აღარ მოუწევთ. სავარაუდოდ, შემცირდება კერძო ავტომობილებით გადაადგილება და გაიზრდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრთა რიცხვი.

აფრიკას გახლეჩა ელის

თანამედროვე აფრიკის კონტინენტის ტერიტორიაზე, შესაძლოა, ახალი ოკეანე გაჩნდეს. ეს, სავარაუდოდ, 5-10 მილიონი წლის შემდეგ მოხდება, – აღნიშნავენ ლიდსის უნივერსიტეტის მეცნიერები. სპეციალისტების თქმით, აფრიკაში არის რეგიონი – ნუბიის აფარი, სადაც მიწის სიღრმეში, კონტინენტი ნელ-ნელა იხლიჩება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ტექტონიკური ფილები ერთმანეთს დასცილდება და აფრიკა, ალბათ, ორ ნაწილად გაიყოფა. ნუბიის აფარი მდებარეობს სომალისა და არაბეთის ტექტონიკურ ფილებზე – ამ ადგილას უკვე დაიწყო წარმოქმნა ოკეანურმა ქერქმა, ფილები კი წელიწადში რამდენიმე მილიმეტრის სიჩქარით მოძრაობენ.

„ტირილის ოთახი“ გახსნეს

ესპანეთის დედაქალაქში „ტირილის ოთახი“ მუშაობს, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, უსაფრთხოდ გამოხატოს საკუთარი ემოციები. პროექტი Therapy Chat-ის აპლიკაციის ავტორებმა შექმნეს – ამგვარად, ისინი ეწინააღმდეგებიან ფსიქიკური დაავადებების სტიგმატიზაციას საზოგადოებაში. მადრიდში მდებარე სივრცე რამდენიმე ზონადაა დაყოფილი, ყველგან წამახალისებელი ბანერები განთავსებული, მაგალითად, „შემოდი და იტირე“ ან „მეც მაწუხებს რაღაც“ და სხვა. გარდა ამისა, ოთახშია ტელეფონიც, რომლის წყალობითაც, მსურველს შეუძლია საკუთარი განცდები ფსიქოლოგებს გაუზიაროს. ცოტა ხნის წინ, ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 100 ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვაზე მილიონ ევროს გამოყოფს. ამოქმედდება სადღეღამისო ცხელი ხაზიც, სუიციდის თავიდან ასაცილებლად. მხოლოდ 2019 წელს, ესპანეთის 3.6 ათასმა მცხოვრებმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით. ოფიციალური მონაცემებით კი, ქვეყანაში ყოველ მეათე მოზარდს ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი აქვს.

კიბოს ნანორობოტების დახმარებით უმკურნალებენ

მკვლევარებმა სიმსივნურ უჯრედებში ქიმიოთერაპიული მედიკამენტების გადატანის ინოვაციური მეთოდი შეიმუშავეს. როგორც Science Daily წერს, ქიმიოთერაპიის ახლებური მეთოდი ორგანიზმში პრეპარატის ნანორობოტებით შეყვანას უკავშირდება. კვლევების თანახმად, სპეციალურად შექმნილი ტექნოლოგია პირდაპირ კიბოს უჯრედებში, ინექციის გაკეთების საშუალებას იძლევა. ნანორობოტების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალ მეთოდს შეუძლია შეამციროს გვერდითი მოვლენები. მას სამგანზომილებიანი პრინტერის საშუალებით ამზადებენ.

დაბინძურებულ წყალს ჰიდროგელით გაწმენდენ

ამერიკელმა სწავლულებმა, ტეხასის უნივერსიტეტიდან, ჰიდროგელის ტაბლეტები შექმნეს, რომელსაც დაბინძურებული წყლის სწრაფად გაწმენდა შეუძლია. ამ აბს ერთ საათში შეუძლია ერთი ლიტრი მდინარის წყლის დეზინფიცირება და ის სასმელად ვარგისი გახდება. წყლის გაწმენდის ძირითად მეთოდებთან შედარებით, როგორებიცაა მისი ადუღება და პასტერიზაცია, რაც თავის მხრივ ენერგიასა და დროს მოითხოვს, ჰიდროგელის შექმნა არ საჭიროებს ენერგოხარჯებს და არ გამოყოფს მავნე პროდუქტებს. ჰიდროგელები წარმოქმნიან წყალბადის ზეჟანგს, ბაქტერიების ნეიტრალიზაციისთვის, რასაც 99.999%-იანი ეფექტიანობით ახერხებს. წყალბადის ზეჟანგი ზემოქმედებს აქტივირებულ ნახშირთან, რათა შეუტიოს ბაქტერიების ძირითად უჯრედულ კომპონენტებს და დაარღვიოს მათი მეტაბოლიზმი. მკვლევართა მოსაზრებით, ჰიდროგელის დასამზადებლად საჭირო მასალა იაფია, სინთეზის პროცესი კი – უმარტივესი, ის თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ დიდ მასშტაბებშიც.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.